


MoSamu. 1884.

საქართველოს  
საბჭოთაო

# საქართველო



საქართველო

საქართველოს  
საბჭოთაო

ს ა რ ჩ მ ვ ი

ერმათა საკითხავი წიგნი:

გვ.რ.

I	ჯერ შრომა, მერყ სტომა ლექსი (ჯანსონი რუსულიდან ნემეცურით) . . . . .	თ. რაფ. ერისთვისა.	65.
II.	სახალწლო ფეშქაში (მატარა მოთხრობა). ეკ. -გაბაშვილისა.		67.
III.	მოგონება. II შობა, III ასლი წელიწადი. სურათები უმაწვილების ცხოვრებიდან. . . . .	ი. რევიშვილისა.	73.
IV.	შმაწვილი და პეპელა. ლექსი . . . . .	ჯაკაცისა.	82.
V.	ზალი, ხალხური ლექსი . . . . .	ცანელია.	83.
VI.	საბრალო ჩიტი მოთხრობა . . . . .	ლილიაშვილისა.	87.
VII.	ლომ-კაცი. თავი VI. ზღაპარი . . . . .	გ. წერეთლისა	94.
VIII.	შიქრი არწივისა, (მოთხრობა რუსულიდან) ჩინოსი . . . . .		103.
IX	ბეოგრაფიული წერილები. ჯ. წერ. III იმერეთი განჩინებისა. . . . .		110.
X.	ბამოცანები, . . . . .	ჯაკაცისა.	113.
XI.	რებუსი . . . . .	ა. მრეკლიშვილისა	—
XII.	„ნანა“ (ილ. ჭავჭავაძის სიტყვები) — ს. მ. — ღერადი ნოტები . . . . .	რ. ქაშისაშვილი-ცანელია.	114.

დამატება:

XIII.	პედაგოგია. აღმინის აღზრდის საჭი- როება და სიძნელე. . . . .	წაღტუბელისა.	17.
XIV.	სამშობლო ენა. . . . .	მადარაქელისა.	19.
XV	სამეცნიერო გაკვეთილები. წერა-კითხვის გაკვეთილი. გაკვეთილი I. . . . .	ხვეკელისა.	22.
XVI.	„ნობათი“ — ს. ფოსტა. . . . .		27.
XVII.	ბანცხადებანი . . . . .		29.



ბიბლიოთეკის  
ნომერი 101533

40

ნ მ ბ ა თ ი 130  
1884

ერძათა საკითხავი

საქართველ-თველ სურათებანი

ქ უ რ ნ ა ლ ი

შედაგაკვიურის დამატებით

(მშობელთა და აღმზრდელთათვის)

3194.

„დღისთა და დამთა ქოყენს  
სობათა ან დაქსდებანსი“  
სურათავლი.

იანვარი № I.

№ 2519-I x.

№ 2165-Ima

თბილისი  
1884.



Дозволено цензурою. Тифлиса, 28 Января.

ასო შთავრულები უფროსალ „ნობათ“-ში  
დასატუღის და ამოჭრილი ბ. გ. ტატიშვილისგან.

სტამბა ი. გ. მელიქიშვილისა.



ჯერ შრომა, მერე ხტომა.

სწავლობს გიგლა ტიტინა,  
მსემ შამოუჭეიტინა:

„—გიგლაჲ, გეოთუბ სწავლა,  
ასლა კარგია გავლა...  
გამო, შეითამაშე,

არ ვინ ეტყვის მამა შენს!“

„—არა, მსეო, მსე-ქალაჲ,

ჯერ გავათავო სწავლა!“

გიგლამ დაიწყო წერა,

ხიტმა დაიწყო ძღერა:

„—გიგლაჲ, გეოთუბ სწავლა,

ასლა კარგია გავლა...  
გამო, შეითამაშე,

არ ვინ ეტყვის მამა შენს!“

„—არა, ხიტობსეწვიანჲ,

ძე ოსტატი მეწვია...  
შენ თუ მორჩი ძღერასა,

მამ ძეც მოვრჩე წერასა!..“

გიგლა სწავლობს გაკვეთილს,

არ უეურებს ბაღში სილს...



ბაღიდგან ალუბალი,  
ცდილობს მოსტაცოს თვალი:  
„— გიგლა, კეოფა სწავლა,  
ასლა კარგია გავლა...  
გამო, შეითამაშე,  
არ ვინ ეტყვის ძაბა შენს!“  
მორჩა სწავლას ბაღანა,  
სწავლამ ის არ დაღალა...  
გამოვიდა კარეთა,  
შესძახა მოფარეთა:  
„— ვინ ძეძახდა წელანა?  
აქ მობძინდი ერთხანა!..“  
მზე უცინის გიგლასა,  
ჩიტი უგალობს ძასა,  
ალუბალი დარცხვენით  
აწვდის დიდ კუნწულასა...

თ. რაფ. ერისთავი.





საბნალლო უეჟაუი.

უაღბდე იქნებოდა... ძაგრამ სდ იეო ჩეუ-  
ნი დაბინება! მე და ორი ჩედი ჰატარა მძა  
ქაჯებიუით დაჯსტოდით დედის კარძეძო.  
აბა, რა დაკვაბინებდა! ახალი წელიწადი  
თენდებოდა: დედა კოხინაეს სარძავდა ჭ სვალინდელ  
სამსადისში იეო.

ჩეენი ორთავე ოთახები სავსე იეო სილით, თაფ-  
ლით და ჩეენის ახლის ტანისაძოსით. ორთავ ბუს-  
რებში დიდ ცეცხლს კაუდიოდა კუზკუსი და წითელ  
შუეს კეაეენებდა ეველას, უბძისოთაც სისარულისავან  
კაწითლებულ ჰირის-სასეყედ. დედამ კოხინაეები დიდ  
ლანგრებზე დაასსა და ძაღლბ თახჩაში შესდვა; შემდეგ კავ-  
ლო კუნჭულში რომ დიდი სის ეუთი იდვა და, რა კინ-  
და, რომ იქიდგან არ აძოილო: ვაძლი, მსხალი, ჩაძიჩი,  
თეთრი თოვლიეით დაშაქრული ჩურჩხელები, სძელი სი-  
ლი და ძრავალი სწავ-და-სწავ საკვლეური. სასტუმრო  
ოთახში, სტოლსე თეთრი სუფრა კადაძალა და სუეველა  
ფერი სედ დაწეო დიდრონის ბლეულებით; თაჟსა და  
ბოლოს წითელი არაეით სავსე ბოთლები დაწეო.

ბოლოს შეუდვა იძ სონჩის ძსადებას, რომელითაც



ჩვენი უფროსი მოჯამბუკორე განთიადისას ჩვენთან შეკვლეთ უნდა შემოხულოყო. ოჰ, ღმერთო, რა გინდა რომ იმ სონხასეგ არ ეწეო! წითელ ვაშლებში წმინდა სანთლები ჩაურტო, შუა სონხასე ვერცხლის ჯამით ანრამიანი დადგა, თავსა და ბოლოს წითლათ დაბრაწული ბასილები დააწეო და ეს სონხა გარეთ ოთახში გაიტანა. მერე დაუძახა ნინიას, ძალსე გაჭაღარებულ კლეს კაცს, ჩვენ ეოველწლიურს ძეგვლეს, და ჩაბარა სონხა.

დედამ და ჩემმა ქერიუმბა დამ, რომელმაც სადღესასწაულოთ ამოგვასხა ქალაქიდგან, სახლს მიღაგმოლაგება დაუწეეს. სკამებს თეთრი ჰირები გადააკრეს, დიდ ტანტსეგ ახალი ქჩხა და ხალიჩა გადაშალეს, ფანჯრებს სუეთა ფარდები ჩამოაფარეს და შეძვეკ ვახშამსე დავსხედით.

ძაგრამ ვის ჰქონდა ვახშმის მადა!.. გოზინაეის ძაურებელს, აბა, ქათმის სორცს რაღა კვაჭქედა? დედამ ბეგრი გვტოქსა, ძაგრამ ჩვენი სუფრასე დასხდომას შეუძლებელი იყო. ჩვენ გაუთავებელი ვმინჯავდით სახსალწლო კაკეებს და გავვიდიოდა სინარულის ქრიამული. დედაც ისე იყო გართული საშხადისში, რომ ჩვენ წივილ-კივილს ეურს არ უგდებდა და იმის ძაკიურათ თითონვე კვახლისებდა:

— ვინძლო, შვილებო, კარგათ ისწავლოთ, კარგი



ბიჭები გამოხვიდეთ და მანამ თქვენი დედა, ქეთევან, ცოცხალა, თქვენ არაფერი დაგაკლდებათ. აბა, ნახეთ ახლა რა საჩუქრები მქვს თქვენთვის!

ამ სიტყვებით დედამ მოიტანა დიდი ბოხნა და იქიდგან თითო-თითოდ გადმოკვიწო, ჩვენ ქალაქში უოფნის დროს შეკერილი, ტანისამოსი: ლურჯი ჩოხები, წითელი ფარჩის ახალეუხები, შავი წუდეები და თეთრი ფაფანხები.

ახლა კი სულ გადავირიენით სინარულით, დავიტაცეთ თითო-თითოთ ეს ჩვენი ძვირფასი ჩასაცმელები და გიჟებივით დავრბოდით ოთახებში. სად იყო მოთმენა გათენებამდინ! ერთმა ჩუსტების ჩაცმა დაიწყო, მეორემ ქუდი ჩამოიჩანა თავზე, მესამემ ახალუსი გაიწყო წელში, ერთის სიტყვით, დიდის ვაის-ვაგლანით-ღა მოახერხა დედა ჩემმა ჩვენი დამშვიდება და ლოკინში ჩაწვენა.

დედამ მოსამსახურე დაითხოვა ოთახიდგან, დაიჩოქა ღვთისმშობლის სატთან და მხურვალეთ რაღასაც ესკეწებოდა.

ჩვენ კი ლოკინში ისევ სვალინდელ დღესე ვჩურჩულებდით.

ბუნარში შესა ისევ ბლომით ეწყო და ძრიელი ცეცხლის შუქი ანათებდა დაჩოქილს დედას და სადღესასწაულოთ მოკანძულს ოთახს. უცნევი ვიღამაც კა-



რი მოაბრახუნა. სუეველანი ერთ წამსე ფესე წამო-  
ცვივდით. დედამ შიშით გადმოკვანთავრიელა, ძაგრამ  
გულ-ძაგრამ კი მივიდა კარებთან.

— ვინა ხარ ამ დროს, მე კაი კაცო, უთხრა  
დედამ ტებილათ.

— მე, შენი ჭირიძე, ქალბატონო! კარი გაძიდე,  
გაჭირვებული ვარ.

ეს დარეჯას, ჩვენი მესობელი დედა-კაცის, ხმა  
იყო და დედამ სანქაროთ კარი გაუღო.

— ქალბატონო, ავემც დმერთი დავასწრებს შენი  
ხაწია შეილებით ძრავალ ამ დროს, სუ დაისარებ და  
წამობრძინდი გლახიანთსა. უბედურს ძელანას სულთ  
ებრძვის და თქვენ ხახვას თხოულობს. ჩვენ ბევრი უჯაფ-  
რდით, ესლა რა დროა, ბედნიერი დღე მოძავლია და  
თავიანთ სხსლში სამხადისში იქნებიანო, ძაგრამ არ  
ხადის: აუტყენია, დამძახეთ და დამძახეთო.

— კარგი, ჩემო დარეჯო, მე ესლავ წამოვალ,  
თუ კი შეძილიან შევეწიო რასმე. დედა-შვილობას ერ-  
თი დედა-კაცი გაბღვიძე, რომ ბავშვებთან დარჩეს და  
მე ამ წამში მხათ ვიქნები.

— დედილო-ჯან, — მოწიწებით უთხარ მე-მეც წა-  
მოვალ, არ შეძინება და მეც ძელანოს ხატარა გოგოს  
ფეფუას ვნახავ.

— რას ამბობ, შვილო სანდრო? საშინელი სი-



ცოცხალი, და გაცოცხლები. ხომ იცის, ამ ერთ კვირასე სკოლაში წასწავლელი ხარ! რა სუძრობაა! რამ ახათ განდე?

— არა, შენი ჭირიძე, დედა, არ გაცოცხლები! წაძიუვანე, კენაცვალე!

— ოჰ, რა ატყეხილი ხარ, შვილო! რასაც აიხირობ, ის არი, ხომ არა გეძულებს რა! თავსე დიდი შალი მხინც მოიხვიე.

გაველით გარეთ და ის შენს ძტერს მისცეს დმერთმა, რაც ღამე გარეთ იდგა! საშინელს ქარს გაქქონდა სუსუნი და ატრიალებდა ნამქერს. ცხსა და დედაძიწას ვერ განრჩევდი ერთმხერთმი: ორთავე თოვლის ბურუსში იუვნენ განვეული, ძთელი სოკელი ისე იყო გაუჩხებული, რომ მძღლის წაწკანიც არსაიდგან მოისძოდა.

დარეჯა გ'სას გვიხედავდა და ხუენ უკან მიუდევდით.

რის ვაი-ვაგლანით მიუდით ვლახანთ სხსლთან, რომელიც ხუენი სხსლიდგან კარვა მოძორებით იდგა. დარეჯამ ჭრბჭუნით შეკაღო მიწური სხსლის კარები და ხუენც შევევეით.

ოჰ, დმერთო, რა საშინელი სხსსხავი იყო ეს სხსლი, ძეტადრე ხუენი თბილი და ძორთული ოთახისი შემდეგ! მინგრეულ-ძინგრეული და სრულებით ცარიელი, კუნჭულში ერთი რაღაც გაგლესილი კოდორი

იღბა და გაჭვარტლულ თაროზე ორიოდ თინის ჯამ-  
ტურტელი ეწეო; კერძზე ცეცხლი ძლივს ბუტბუტა და  
შუა ბოდის რაფაზე თითის სიმსნო კვარი ეთო. კერის  
ძახლობდა, დაგლეჯილ ლოგინზე, ძელანო იწვა,  
ხელაფებს აწვევტავდა და მძიმეთ ქმნავდა. გარშემო  
ორიოდ დედა-კაცი უჯდა და სთვლემდნენ.

ჩვენ შესულაზე ძელანიამ გაიღიმა. დედა-კაცები ფეხ-  
ზე წამოდგნენ.

— რა იყო, შვილო ძელანო, — უთხრა დედა, —  
რისთვის მიბარებდი? დედა-შვილობამ, ამ საღამოზე მე  
თითონ მინდოდა შენი ნახვა, მაგრამ, განა არ იცი  
ხვალინდელი დღის ამბავი? ერთ წამს ვერ მოვიცალე,  
რო გადმოუსულიყავ.

ძელანო დიდის გაჭირვებით ლაპარაკობდა.

— ქალბატონო, სთქვა იმან სიტყვების გაწვევ-  
ტით: აასრულე, შენის სულის გულისთვის და შენი  
შვილების სადღეგრძელოთ, სულთ-მაბძავის თხოვნა...  
ჩემი ზატარა ფეფო, ჩემი საცოდავი ობოლი, ხვალ  
უდგოთ დარჩება... ღუკმის მჭამელიც არავინ ეყოლე-  
ბა და გთხოვ, შენ აიკვანე... მოახლეო მანც გამო-  
კადგება... ნუ მოძულავ ისე... რომ ამის ჯავრი მიწაში  
ჩამეყვს... და, თუ შენთან დავტოვებ, გულ-დამშვიდებული  
წავალ იმ სოფელს... თუნდ შენთან და თუნდ ღმერთ-  
თან ძეოლია... ჩემი უბედური გოგო...

სთქვა ეს ძელანომ ღ მღუღარება გადმოსცვივდა თვა-  
ლებიღვან.

— კარგი, ძელანო, ავასრულებ შენს თხოვნას,  
უთხრა დედა ჩემმა.

ამ სიტუვებზე ძელანოს ჰირს დიდილი მოუვიდა  
და შეძვეკ საშინლათ დასწველა. მე ბოძთან ვიყავ ამო-  
ფარებული და გული მიკანკალებდა. ძელანოს გულს  
შეძოქვარა. დიდი ხნის შეძვეკ ძლივს მოაბრუნეს, მაგ-  
რამ, ვაი იმ მობრუნებას: რამდენიმე წამის შეძვეკ ის  
კიდევ გათავდა. სუვეველა დედა-კაცებმა ერთ-ბაშათ მორ-  
თეს ღრიადლი. ჰატარა ფეფო, შვიდი-რვა წლის ლა-  
ძახი გოგო, დედის ფესთ ცარიელ ჭილობზე ეგდო  
და ამ ხმაზე უცებ გამოიღვიძა, მისვდა რაც ამბავი  
იყო იძის დედის თავს და მადლა ტირილი დანიწყო.

— სუ, შვილო, სუ!— ეუბნებოდა დედა ჩემი ტი-  
რილით. — ღმერთი მოწვალეა, უდედობას არ შეგამ-  
ხნევთ. ადე, ესლა ჩვენსა წავიდეთ. ხვალ ახალი წელი-  
წაღია, ნახე რამდენი სახუქრები აქვთ ჩემ ბიჭებს შენ-  
თვის.

შეძვეკ დედამ კანკარგულება მისცა დედა-კაცებს და  
ჰატარა ფეფოთი წამოვედით შინისკენ.

კანთიადი იყო, როდესაც ჩვენ ბაღკონზე ავედით.  
ნინია ხონხით სელში, წმინდა სანთლებ ანთებული,  
შედიოდა ოთახში. ჩვენც თან შევევეით და იძასთან



ერთათ მიულოცეთ ახალ-წელიწადი უკუღას. ჩემი  
ძმები, დაღალულ-დაქანცულები, მძიმეთ იღვიძებდნენ;  
ფეფოს მისვლა რომ გაიგეს, ფიცსლაჟ წამოსტდნენ.

დღემდ ფეფოს სელი მოჰკიდა, მიიჟანა ჩემ დას-  
თან და უთხრა.

— აი, შვილო, მე სახსაღწლოთ არ ვიცოდი რა მე-  
ფუქაშებინა შენთვის და თვით ღმერთმა გამოვიჩინა  
სახუქარი: შენთვის ჩამიბარებია ეს უსუსური ბავშვი.  
ვინმლო, რიგინათ გასარდო ეს სცოდავი ობოლი  
და მით ახსრულო უდიდესი მოვალეობა ამ სოფელშია.

ერთი კვირის შემდეგ ჩვენმა დამ წამოკვანსა ქა-  
ლაქმი. ზატარა ფეფოც თან მოკუვაჟდა ღ ბოლო არა  
ჰქონდა ჩვენ სისარულს, როდესაც იმის ტანსე, დაფსრე-  
წილი ჩითის კაბის ძაკიერ, მიხაკის ფერი კაბა და-  
ვინასყო.

ქე. განაშვილის.



# მობოზება

(სურათები ჩემი ემაწვილობის ცნოვრებიდან)

## II

### მობა.



ობის წინაღობის საღამოა. ვარეთ თბი-  
ლა, რადგანაც შედი-სედ რამდენიმე მშვე-  
ნიერი მზიანი დღე იდგა და თითქმის  
სრულიად აიღო დედა-მიწიდან თოვლი;  
მსოლოდ სოკან, სადაც მზე ვერ მიაღვა, კიდევს სჩანს  
დათოვლილი ხეებები. ტალასი სრულიად არ არის.  
დასავლეთი ათას-ფრათ განათებულია ჩამავალი მზის  
სხივებით და სოფელი მცსეთა გარშემორტყულია წი-  
თელ-უვითელი ღრუბლებით. ბუსრებიდან თითქოს  
ამაუად ამომავალი ბოლი, ათასნაირად ინლაკნება  
სუფთა, კრისს ჰაერში.

ხვალ შობაა, თავდება ქრისტეობისთვის მარხვა  
და მცსეთულები ექვსი კვირის მარხულობის შემდეგ  
გაისხნილებენ; ამისათვის ეველა, თავის შემღების  
და-გვანათ, დიდ მხადებაში არის.

თითქმის უოველის მხრიდან იწყის: „—მია-მია!“  
„—ჴუ, ჴუ, ჴუ, ჴუ!“ ან დაფთსობილი ქათმების



ჯახუ-ჯახუი, ახ უეცრილი დაჭერილი მამლებისა, რომ-  
ლებიც ალბათ ჰგვრძობენ, რომ სვალისდელი დილა  
აღარ გაუთენდებათ. დასაკლავათ წამოქცეული დორე-  
ბის გულ-საკლავი ჭევილი ნაღველას უსივებს კაცს...  
მე გამოვეძურე შინისკენ.

— სო...სი...კო...ო...ო!

გავიხედე კარში.

— რა გინდა, იალო?

— ვასიკო შინ არის?

— ჰო, ბოსელშია; რა იყო?

— რა ვიცო... გალანთან ბაღლები არიან შიე-  
რილნი... ძეგობანას ვითამაშებდით მეთქი, იძიტომ  
კიძასდი.

მე ეს ძალიან გამიხარდა, რადგანაც მოწვენილი  
ვიყავი, დაუძახე ვასიკოს და გავიქცით გალანისკენ  
სათამაშოთ.

ვითამაშეთ ბინდამდის... საშინელი წივილ-კივილი  
გვედგა; ბინდისას კი დაუძალენით ღუგირილით „ჩიტმაც  
თავის ბუდე იცის“—მივმართეთ თავ-თავიანთ სახლებს.

იმ დამეს რამდენჯერმე მოვიდნენ ჩვენსა ჰატარა  
ბიჭები შაბის სატებით ხელში, მოგვილოცეს შობა  
და იგალობეს: „შობამან შენმან ქრისტე ღმერთო.“  
გალობის დროს ჰატარა მომღერლები ძალიან სძი-  
რათ ისვენებდნენ და ხან კიდევ ისე არეგდნენ ხოლმე  
სიმღერას, რომ ერთათ დაწვებულს გალობას მარ-



ტო ერთი რომელიმე მათგანი დაათვაუბდა სოლმე; ამ ნაირი მშვენიერის და სმენის დამატებობელის კალობისათვის დედა აჯილდოებდა მათ ან შაურით, ან ორი შაურით და ბიჭები სრულის კმაყოფილებით და მადლობით გადიოდნენ ჩვენგან.

იქნებოდა ღამის ცხრას საათი, როდესაც დედამ გამოკვიტანა სძელი სილი და გეითხრა: ამაღამ „ფხოწაობაო.“

— რა არის, დედავ, „ფხოწაობა?“

— რა ვიცი, შვილო, სილსა სჭამენ სოლმე — ღამეს უთევენ რაღა — სსუბა, მკონია, არაფერი.

კავთავეთ სილიც, მერმე უგანასენელათ კიდევ ვიჯახშმეთ სამარსო საჭმელით და შემდეგ ვეკლამ მივეცით თავი ტბილს ძილსა.

მეორე დღეს მთელი ჩვენი სასლობა მოირთო ახლის ტანისამოსით და წაუიდა საუდარში. მეც ძალიან მიხდოდა საუდარში წასვლა და, თუმცა ბევრი ვიტორე, მაგრამ არ წამიყვანეს — შეკცივაო; მხოლოდ დამხირდნენ, რომ „ფუფაღას“ ვეტყვიით სილი გამოკვიტავსო.

მე მაშინვე დაჩუბდი, რადგანაც „ფუფაღას“ წინადაც არა ერთხელ გამოუგზავნია ჩემთვის დედი ჩემის სელით მშვენიერი რბილი ჩურჩხელები და თაფლისავით ტბილი კამფეტები.



„ფუფუნაზსგან“ კამოკსაზნილს ჩუჩჩქელები და  
კამოქეტიების შესაქმელათ ვასიკო ამომიწიქად სოღმე  
ერთ-ერთს მივარდნილს ბოსლის კუთხეს.

— ათასი ბაღლი დაქეტიებო — იტეოდ სოღ-  
მე ვასიკო, როღესაც კავეირუბით ვკითხავდი თუ რათ  
ამოყიწიეთ ამისთანა უაღაგო ალაგი სილის შესაქმელათ,  
— მოვლენ, დაკვლიჯებინ: ზატარა ჩუჩჩქელა ძაქაძე  
და ჩიტებს დაკიქერო; წადი მერე და უცადე, მინამ  
იმის კაკანათში თავს შექეოფს რომელიმე ბრმა ჩიტო...

ამისთანა საფუძვლიანი ასრის შეძღვე მე, რასაგ-  
ვირველია, აღარა მეთქმოდ-რა და ვასიკო დაშურებით  
მიქეოფდა სოღმე ხელს ჩემი ჯიბიდან ამოღავებული  
სილის, როგორც თვითონვე იძახდა „ამსანავურათ  
შუახედ კაეოფას.“ მავრამ რამდენჯერაც შემიძხნევიან,  
სწორეთ ის ნახეჯარი, რომელსაც ვასიკო თავისთვის  
აიღებდა სოღმე, ეოველთვის მეტი იყო მეორესედ. მე  
არა ერთხელ მივაქციე ვასიკოს ეურადღებამ ამ ამბავს,  
მავრამ ისევე ჩქარა წავილე უკან სიტევა, როღესაც  
ძალიან სამართლიანათ დამარწმუნა, რომ მას ხელ-  
ში სასწორი არა ქეონდა და ცოტა მეტი ან აქეთ წა-  
ვიდოდა ან იქით...

იმ დღეს ეოველგან დიდი მხიარულებამ იყო: ბა-  
ნები საუხე იყო დართული ქალებით და დროს ატა-  
რეკუნენ დარის დაკვრამი და თამაშობამი...

III

ახალი წელიწადი.



ენდება ახალი წელიწადიც. მე და ჩემი ძმები ისევ ლოკინში ვართ და სიამოვნებით შევჭეულებთ გაძლიერებულს ბუნარს, რომლის სსივებითაც განათებულია მთელი ოთახი. ჩვენ ეს-ეს არის დედამ გამოკვადვიმა — „ადექით, სეცა ძამბ თქვენი შემოვა და ტაბლას მივართმევო!“

ჯერ კიდევ ადრე იყო და ძილი ძალიან გვინდოდა, მაგრამ, როგორც იყო, დაუძაღლადეთ თავი, წამოვდექით ლოკინებიდან და ზღაპრით ჩავიცვით ტანისამოსი. დიდ ხანს აღარ გაუვლია, რომ გარედამ მოისმა ძამბი ჩემის სმა:

— აბა, შემოვიდე? ტაბლა მსათა გაქვს?

— მსათ არის, მიუგო დედამ ჩემს და მიაგება მეორე ოთახიდან გამოტანილი ტაბლა.

— მომილოცავს, უთხრა ძამბამ დედამ ჩემს, — ღმერთმა მრავალ-წელს დაგასწროს სიტკბოთი და სიმშვიდითა შენი ქმარ-შვილებითა. დედამაც, რასაკვირვებია, თავის მხრითაც მიულოცა და მისცა ძამბ ჩემს ტაბლა სეღმი; ის წამოვიდა ჩვენკენ, გზაზედ სამჯერ სთქვა: „შემოვდგი ფენი, გწვალობდეთ ღმერთი; ფენი ჩემი, კვალი ანგელოზისა“ და უკვლანი დაგვა-

3194.



ბერს თაფლითა. ამის შემდეგ მან დასდგა ტაბლას სტოლ-  
ზედ ზე ზევი დიდის უურადღებით დაუბთვლიერეთ იგი.

ტაბლას იყო გაკეთებული ცხრილზედ, კარ-შემო  
ერსო ოთხი უკითხელი ანთებული წმინდა სანთელი ზე,  
ღმერთო ჩემო, რა არ ეწეო ზედ! იქ ნახავდით ღი-  
ჯიანს, დონჯ-შემოერილს და ჩამიხის-თვალეობიან ბა-  
სილას, ბედის ზურებს, ხარის ქედს, ძველი და ახა-  
ლი წლის ორმოებს, სახრეს, საწერ-კალამს, მოგრე-  
ხილს ნამკალს, ქარგას, მაკრატელს ზე თვით წიწილ  
კრუსხსაც; ეველას ესენი გამოცხობილი იყო ზურისაგან  
და ეველას მათგანს აქა-იქ უსსდა ნიგოზები და ჩა-  
ძიხი. გარდა ამისა ცხრილზედ ეწეო თებშებით გოზი-  
ნაეები, ჭაღვა, და ჭაღვა-სახი.

გაუბათავეთ ტაბლის გაშინჯვაც. მერმე ჯოხებით მივა-  
დქით ასალწლის კუნძს და რაც ძალი და ღონე ვკვირდა  
დაუშინეთ მას. ანთებული კუნძი სულ ნაპერწკლებით გადა-  
იქცა.

- „ამდენი ხარი“ — მივამასე მე.
- „ამდენი კამეჩი“ — იმასის გოლას.
- „ამდენი ცხენი“ — იმასის სახდრო.

ჩვენ სუბრობაში ისე გულ-მოღვირეთ უშენდით კუნძს  
ჯოხებსა, რომ სწორეთ ბუნარს ძოლათ ჩამოვაქ-  
ცევდით, რომ დედანს ჩვენთვის ჯოხები ძალე არ წავერთვა.

ამაობაში გათენდა კიდევ. დედა ჩემმა მოძცა ერთი  
ძოელი ზური ზე ერთიც წითელი ვაშლი ზე კამკუნანს



ბოსელში, ხარებს მიუკვლიყო ჭ უთხარი შიოს, რომ ჩვენი ძეგული ის იუოსო: იმის ფენი კარგათა ვაქს დაცდილიო.

მე სინარულით გავიქეცი ბოსლისკენ და, ძეგული თუ არა კარები, უკანიდამ მოძახსა ვიღამც.

— სოსიკო!. დამბერე, დაგაბერო!

მე ამოვიღე ჯიბიდან, რომელიც უფრო უსერიო კამფეტი მქონდა, მივეცი ბიჭს და უთხარი:

— ასე ტკბილათ დამბერდი-მეთქი.

იმანაც ამავე სიტყვებით მომილოცა, მსოლოდ, კამფეტის მაგივრათ, მოძცა დაობებული ჩურჩხელის ჰატარა ნაჭერი.

შევედი ბოსელში. ჩვენმა შიომ ამიუანა სელში, კანდმოცნა, კანდმართვა მერმე ვაძლი, გაუგორა ხარებს ბაგაში და უთხრა:


— ღმერთმა ასე ძრთლათ დაგასწოთ ძრავალს ასალ წელს. შეძღეგ განტესა ჰური და დაუწო ჰმევა საქონელს; მაგრამ ჩვენი კვირტა ცხენის ჭ კამეჩების მეტმა არაჟინა ჰამა.

გათავა თუ არა შიომ ეს ამბავი, წავიდა ჩვენსა მისალოცად და მეც თან წამიუანა.

იმ დღეს ჩვენსა ბერი სტუმრები მოვიდნენ მოსალოცათ.

მოელი დღე სოფელში დიდი მსინარულეება იყო.

ა. რევიშვილი,





### შავი და კველა



რელი პეპელა დაათრო  
 და გააბრუნა იამა...  
 მას მიეპარა ყმაწვილი,  
 დაიჭირა და იამა...

პლერსით უთხრა: „პეპელა,  
 თავს რითი ირჩენ შენაო?  
 როგორ არ გლალავს მთელი დღე  
 მოუსვენარად ფრენაო?“

პეპელამ უთხრა: „მინდორში  
 მსცხოვრობ მე უზრუნველადო...“

იქ ყვავილები გაშლილან  
 ჩემ საზრდოთ, საწოწნელადო.

რაც დღე მაქვს—ტკბილად ვატარებ,  
 ჩემ ნებაზედაც დავფრენო,  
 მყრამ დღე-გრძელი არა ვარ...  
 ბამიშვი... ნულა მაცდენო!“

ქაწვილმა ხელი გაუშვა,  
 ბაჭურ ინდა ნაზი პეპელა...

და, თითქოს ნიშნად მადლობის,  
 თავს ევლებოდა ნელ—ნელა.

ბეჭეტი.



# ზ ა ა ლ ი



(სეფილიან ღვინო დასავლეთ საქართველოში იმჟღად.)

იონის მარცხენა კიდეც ერთი რუ ჩამოხსნილდას,  
დაბურულს შთებსა ძირს უთხრის, შეჴყვირის, ზე შუტ-  
რიადობს;

ჩვიდამ ჩვესკდა მსტომარი, მაღლა შეისვრის ზვირთებსა,  
მონორკებს, მთავამთლებს იაკის შსეფ-მარგალიტებსა.  
სასამოვანოდ გაშლიდა მის ნაპირს კაკე-გორას,  
სამ მხრივ კლდით შემოზღუდული, სელის გუფივით სწორას;  
ვარდ-ფავალებით შემკული სამოთხეს მიემსგავსება,  
იქ შიდის ყოვლი ფრინჴელი, ტკბილ-სმოვანებით ივსება.  
ამ კაკე-გორას მახლობლად სხანს ძეგლ დროდგანვე სამარე,  
რალაც სევეებით მოცული, ნაღვლიანი და მკმუნკარე,  
და მას ხაკს-მოკიდებული ერთი დიდი ქვა ავია,  
ირვკლივ უყვავის ყვავილი—ყაყახი, ია, ვარდა.  
სანოდავის სმით დასტირის საფლავს სმა-ტკბილი ბულბული,  
ვარდის ბუჩქებში დღე და ღამ ქურდივით ჩასაფრებული...  
კაცს გულში სევედას უსახავს რალაც დამწკელი სმა მისი..  
შეჴკნისის ღამით, შეჴკვიის მიღნაკებულად დღისი.

ამ კაკე-გორას სასილოს—ამბობდენ მოსწრებულები—  
ტურფად იყენებო ოდესმე სოფლები გამართულები  
და თუმცა მუდამ ურიცხვი მტრები ესხმოდა მათაო,  
ძვრამ უძლევი სოფლები დამიდურად იყენენ მზათაო...  
კაცი და ქალი გუნდ-გუნდად მოჴიენდენ კაკე-გორასა,  
გამსხევედობდენ გმირები, მტრის დაწყებდნენ ბრძოლასა  
და რა კი გამოჩნდებოდა იქ ზაალ, გლეხი ღომ-გული,  
თავზარ-დასხმული გარბოდა მტერი საომრად მოსული.  
ყოველი ჩვეუნი კუთსეში ქქუნდა ზაალის სასელი,

იმისა კეთილ-გულობას აქებდა მისი მნასკელი;  
 დღე და დამ შუშოვარი მიმოვიდოდა კელეში,  
 და, როგორც კატას, თურმე ღამის გამოიჭყელებდა ხელეში...  
 ერთს ხსუბის შემდეგ ქუხილით ხმები მოედვა სოფლებსა...  
 „დაივარჯაო, გავიქონა ვატრონი ქერივს და ობლებსა;  
 შაალ-გომირის და მოგვტაცეს და წაიყვანეს ესლაო,  
 თავ-გაწირულსა შაალსა მტერთან მოუსდა შესლაო;  
 განოიებული მიჭარდა იმათ, როგორც რომ ღამიოა,  
 და გამოიხსნა, გამართა ისევე „თათანთან“ \*) ომიო.  
 დაკოდილებში ვეძებთ ყოველგან მისი ლეშიო...  
 ვიცით ცოცხალი არ არის, არც ურეკია ძვედრებშიო.“

შაალის დაკარგვის შემდეგ გულ-დაბნედილი მისი და  
 ყოველ მოვარისა ღამეში ვაკე-გორისკენ მივილიდა;  
 მის მისიგან სისხლით შელებილს ალაგს უწებდა ცქერასა,  
 სტროდა თავის დაკარგულს და თავის ზედის წერასა.  
 გულ-ნაღვლიანი მდუმარედ რუს ზერსედ განდმოვადებოდა,  
 მიეცემოდა ოცნებას და თეიქში დავიწყებოდა.  
 მსოფლოდა განთიადისას შესწევებდა ზედთან ბრძოლასა,  
 გაქმართოდა სოფლისკენ და დასტოვებდა გორასა.

ერთს ღამეს ჩვეულებრივად, როცა ეწვოდა მას გული,  
 ნაცნობსა ალაგს მწუხარედ მიმოვიდოდა ქალ-წული,  
 დიხუად მკალი მნათობი იმას მალეიდამ დასცქერდა  
 და იადონი მსალობლად გულ მოსაკლავად დამლურდა.  
 იდუმალ იფუქსებოდა ნორნი ვარდისა ვოკორო,  
 წვრილ ტოტზედ კისერ-გადანით დაკიდულიყუნ ორ-ორი  
 და ია მორცხვი, კველური ვარდის ბუჩქს ევარებოდა,  
 დლიურ სამოსელს იცვლიდა და ნამით იბანებოდა.  
 ამ დროს ერთის მხრით ბუჩქებში ფოთლებმა შეჭქეს შინაღი,  
 ერთმანერთს გაესაუბრენ, ნაზად დაიწყეს ცქერაღი,  
 და შემდეგ ისევე რიგ-რიგად მონახეს თვისი ბინაო,

\*) ჩვენში საზოგადოდ თათარს ეძინდენ თავის მტერს—მეზობელს.



თითქოს აღძრულმა ბუნებამ სამუდმოდ მიიძინათ.  
სმენად და ფიქრად გადიქნა მარტოდ მკალი ქალ-წყული,  
ამ უცნაურმა მოკლენამ აუტანსანს მას გული;  
კაცის ფეხის სმა მოესმა, უცნაო მოუხსწედა მუსღებში,  
შეშინდა, მარდად ისკუპა და ჩაიძალა ბუჩქებში.



რუის ნაზირზედ ფეს-აკვრით ვიღაცა მოქნაწროდა,  
ნაცნობ ალაგებს შესტყერდა, შესტროფდა, შემოჰსწროდა,  
და რა ვი ზვირთი ლელისა ზარის სმით ისმაურებდა,  
შეჩერდებოდა უცნობი, მათს ტოკებს გადაჰყურებდა.  
დანაშნულს ადგილს ესწრაფვის, მიდის ფეს-მარდი, ცანცლად  
და ვეფხვისავით ბუჩქადამ—მას მისვლაც აღარ აცალა—  
გამოსტა ქალი უმაწვილი, მომაკალს მიესალმა,  
ველი ველს ატვლო, მკლავი მკლავს და თვალს ტრემლი დაღამა.  
„ზალო, მიაო ზალო“ — ეტეოდა ქალი მწველადა—  
„სად იუპე, საით გივლია, რატომ გასულსარ ველადა?  
„მკვდარა მეგონე დანაგროლს, მარტოდ ვტიროდი, გგლოვდიო  
„და ამ ქვეყნიდამ გაქრობას უფალს ჩემსას ვსთხოვდიო!“  
„— ეჰ, დაო!“ — გაუმა მიუგო — „ჩაჭვით დამბეს მტრებმაო,  
„დასუსტდა შენი ზაალი, უდროთ უმტყუნეს მსრებმაო,  
„ბოლოს ვასსენე უფალი, შემოვიკრიბე ღონეო,  
„ჩაჭვები მტკვრად ვაქტიე და მტერი დავალონეო!...  
„თავი ავიშვი, წამოგელ მე მათი შეუბოგარი...  
„ეგებ ვვლმიდაც მომდედექს საფთხილით მსდალი მღკვარი,  
„მით უფრო, რომა დღეს გული როგორღაც მიღონდებოა,  
„სული მიშეოთავს და გონი სადგურში აღარ დგებოა.  
„რუდი ნიშნები აჩიან, მოახწავებენ ავსო  
„და, თუ რომ მოგვდე, განატვა, შენ ნუ მოიკლავ თავსო!  
„მე იქ დამმარსე, სად მტრისა სისხლი მიღვრია ველზედა,  
„სდაც გვიბრძვია და ჩავრი ვერ აუერით ჩვენზედა.  
„ჩემსა საფლავზედ მოიტერ, მოძინაქ ხანდის-ხანო  
„და შესებურად დამძასე სმა ტვილი „ნანი-ნანაო!“




„რა გავიგონებ შენს ხმას, მიწიდან ჭკუნიად ავლო,  
 „გნასავ და გააღერსები და ისევე საფლავს ჩავალო!“  
 ვერ გაათავა მან სიტყვა — ბუჩქივით თოფი გაკარდა...  
 შეერთა წაღლი, გმირულად წამოსტა, ზეზე ავარდა,  
 მკრამ მოკვრეს მუსლეუმი, დაეცა მიწას მკრთალია,  
 უკანასკნელად შესუდა დასა და... სული დალია.  
 მტერმა რა ნასა ლომ-გული მიწასთან გასწორებული,  
 წერილ ბუჩქებივით გამოსტა ტყეში და გასარებული...  
 ქალს უბირებდა შეპურობას, მკრამ ქალ-წული გაიქცა,  
 შეითუქნილა და უცბათ მსტკენავ ბულბულად გადიქცა.  
 ძალდა ცისაკენ მოკვრუნელა გულ-სეკდიანმა ბულბულმა  
 და აატირა მთა-ბარი მკვხესარმა, აღელვებულმა...



ამბობენ ქალი, ქვეული ბულბულად, მოფრინდებო  
 გაზავსულითა და წავა, როცა რომ დაწმირდებო...  
 გაზავსულივით წამთრამდე საფლავს დამღერის თავსედა,  
 ბინადრებს ვარდის ბუჩქებში და სან ჯდება ქვასედა.  
 თითოჯერ უღველ ღამეში, როს მეფობს ძილის ძალით,  
 როს უკვლას ჩათვლიმება და დაიბინებს წყალით,  
 საფლავზედ მკდარი ბულბული გადაიქცევა ქალადო  
 და სამარზედ მდებარ ქვას გადაგორებს ძალადო.  
 ცივ-საფლავივით ადგება ვაჟი ხეულებერ გმირით,  
 და-ძმანი გადისეკვიანს, ზირს ეკონებს ზირით,  
 იაღერსებენ და შემდეგ ორივე დაღვრიან ცრემლით მწარეს,  
 ერთმანერთს ესაღმებინ — ვაჟი კვლავ ჩადის სამარეს...  
 შემდეგ ქალ-წული იმპიდეებს გულს, სკვდით ანამკვრელს,  
 და უერს დაუტდებს სსვას ბულბულს, ბუჩქიდან გამოძღვრელს...  
 გმირ მძას დაადებს ისევე გულზედ სამარის ქვასაო,  
 ბულბულად გადაიქცევა და სტკენს თვის გულის თქმასაო.

ცხელი.



## საბრალყო ჩიტი.

### I.



რთხელ, ზაფხულის დამდეგ, დილით აღრე, მასომ შე-  
მოიარბინა ჩვენ ეზოში და ხმა მალლა დამიწყო ძახილი:  
— მიგუცი, მიგუცი! აბა ერთი გარეთ გამო,  
სიტყვა მაქვს სათქმელი!

მე ის იყო ლოგინიდანა ვდგებოდი. შავივე თუ არა მასოს  
ხმა, მაშინათვე მივხედი, რომ ის უსათუოდ ჩემ წასაყვანათ მო-  
სულა; საჩქაროდ გადავიცი ახალუხი, მოვიგდე ქული ქოჩორზე  
და უქამრო, ფეხშიშველა გაეარდი გარეთ.

— მე კარგა ხანია რაც გამომეღვიძა, მაგრამ, დასწყევლოს  
ღმერთმა, აღრე აღგომა ძლიერ მეზარება ხოლომე—ეუბასუნე მე.  
სანამ სიტყვას ვავთავებდი, დედა-ჩემმა საქათმოს კარებიც  
გააღო და იმოდენა ქათმებმა ერთი ვაი-ვაგლახით, თაე-პირის  
მტერევეთ გრიალი მოიღო გარეთ და უცებ მთელი ჩვენი ეზო  
აქრელეს. მასომ მხარზე ხელი გადამხვია, ცოტა გვერდზედ მიმა-  
ყენა და, თითქო ერთი რამ დიდი საიდუმლოაო, ყურში ჩუმად  
ჩამჩურჩულა:

— მიგუცი, ბიჭო! არ იცი, რომ დღეს ბიძა ჩემი ვენახში  
აპირებს წასელას? მოდი ჩვენც წავეყეთ, იქ კარგათ გავერთობით!  
მშვენიერი სანახავია ჩვენი ვენახი: იქაურობა ხეხლით საესეა.  
ამბობენ, ყურძენშიაც თვალი შესულაო; მინდა ვაფიგო, მარ-  
თალია ეს თუ არა; თუ მართალია, მაშინ მე და შენ.... უჩუმ-  
რა... ხომ იცი?..

სწორე ვითხრათ, მასოს პატივი კეუაში მომივიდა, მით უფ-  
რო, რომ ახალი ყურძენის ნახვა მეც ძრიელ მომინდა,—ისე  
ძრიელ, რომ კბილებმა კაწკაწი დამიწყეს; მაგრამ ჩემი ვენახში  
წასელა დიდად საძნელოა იყო, რადგანაც ჩვენები იმ დღეს პუ-



რის ცხოვრებას აპირებდნენ და მე ამიტომაც დედასთვის საჭირო ვიყავ. ჩასაკვირველია, მე ეს ყველაფერი მასოს გაეაფებინე და უთხარი, რომ, თუმცა ძრიელა მსურს შენთან ერთად ვენახში წასვლა და იქ სიამოვნება, მაგრამ მაინც ვერ ავასრულებ შენ თხოვნას, რადგან დედა-ჩემი მე არ დამითხოვს მეთქუ.

მასო თავისებურად აიტკრიცა, ჩემი უარი არ ექაშნიკა.

— შენ, შვილოსავე, მაგრე იცი ხოლმე—წყენით მითხრა მასომ,—მე რომ შენთან თამაშობა მომინდებოდა, შენ მაშინ გაიჩინე ხოლმე საქმეს.

— დედა არ მომიკედება, მასო, მე ტყვილს არ გეუბნები: შენთან წამოსვლა მე ძლიერ მინდა, მაგრამ რა ექნა, რომ დედა არ გამომიშვებს—განუმეორე მე.

— შენ რომ ჩემთან თამაშობა გინდოდეს, წამოსვლას მაღლე მოახერხებდი.

— აბა, რა გზით მოახერხებდი?

— ისე რომ გამოიპარებოდი და დედას სრულიადაც არ შეატყობინებდი.

— აბა, მაგას კი ვერ ვიკისრებ, მასო, რომ დედას ვავეპარო და უპრალოდ ვაწყენინო—ვუპასუხე.

მე ვამჩნევდი, რომ მასოს ჩემი ჯიუტობა ძრიელ არ მოჰსწონდა და თან-და-თან უბღბღს იქმუხენიდა; გაშეშებულივით იღგა ის ერთ ადგილას და დაჟინებით მიცქერდა სახეზედ.

— მაშ, არ მოხვალ? იცოდე, რომ დღეის იქით მე თქვენს ეზოში აღარ გავივლი და, გთხოვ, აღარც შენ გაიარო ჩვენს ეზოში!.. სთქვა ეს მასომ ბრაზიანად და მაგარი ნაბიჯით გასწია შინისკენ.

— მოიცა, მოიცა! მივაძახე მე და გამოულექი; მოვეწიე და მარცხენა მკლავში უკანიდამ ჩაეჭკოდე ხელი.

— ნუ გამიწყრები, წამოვალ; პატარა მოითმინე, შინ შევალ, თუხტ ჩავეცვამ, ქამარს შემოვირტყამ და კიდევ წავედეთ.

ამ სიტყვებით მასო დაეამშვიდე: პირზედ ღიმილი მოუვიდა; მაგრამ მე კი ძრიელ დაელონდი: ორ ცეცხლ-შუა ვიყავ: არც ის

მინდოდა, რომ დედა გამეჯავრებინა, არც ისა, რომ მასო სამუ-  
ღამოდ გამწყრომოდა. ბოლოს გარდაეწყვიტე, რომ დედა თუმ-  
ცა გამიჯავრდება გაპარვისათვის, მაგრამ ისევ მალე შემირიგდება  
და მასომ კი შეიძლება სულ ხელი აიღოს ჩემზედ. ამიტომ სან-  
ქაროდ შევეარდი შინ, ჩაეიცვი ფეხთ, ავიღე ქამარი ხელში, და  
მალეით გავცუნტულდი მასოსკენ.

## II

შხარიან, უხარიან მასოს,—ისე უხარიან, რომ არ იცის  
რა ქნას სინარულისაგან.

— აკი არ მოდიოდი! ბოლოს მადლობელიც რომ დამრ-  
ჩე, რას მომცემ? წამ-და-უწუმ აღტაცებით მკითხავდა ხოლმე  
გზაზედ მასო.

მართლაც, რომ მადლობის ღირსი იყო ის. ბევრი ვითამა-  
შეთ, ბევრიც ვისიამოვნებდი. ღაერბოდით ვენახის ერთის კუთხა-  
დამ მეორემდისინ; მივეარდებოდით ხან ერთ ჭერამს და შევაქა-  
ნებდით, ხან მეორეს; ხან ერთ ალუბალზე ავცოცდებოდით, ხან  
მეორეზედ, ჩამოვიდოდით—ახლა ხშირ მწვანე ბალახში გავგორ-  
დებოდით; წამოვხტებოდით—კალიებსა და პეპლებს დაუწყებ-  
დით დევნას. მართის სიტყვით, ბევრის ხტუნვითა და რბენით  
თაებრუ ვგეხვეოდა, მაგრამ დაღლით კი სრულებით არ ელ-  
ღებოდით.

ამ ყოფაში რომ ვართ, მასომ უეცრად ხის ერთ დაბლა  
ტოტზედ პატარა ჩიტს მოჰკრა თვალი. მერ წარმოიდგენთ, რო-  
გორის სინარულით შეჰყვირა მასომ ამ საბრალო ჩიტის დანახ-  
ვაზედ.

— არიქა, მიშეგლეთ, უნდა დაეჰირო, დაეჰირო! გარძახა  
და გაექანა ჩიტისაკენ.

მტყობოდა, რომ ჯერ ბარტყი იყო. იჯდა ხეზედ თავ-და-  
ღუნული, ფრთებ-ჩამოშვებული და წყნარად გაიციქროდა წინ;  
აქეთ-აქით არ იხედებოდა. პირველად მე ძიველ გამიკვირდა,  
რომ ეს პატარა ლამაზი ჩიტი ესე დაღონებული, თითქო და-

ფიქრებულიც იჯდა მარტოდ-მარტოთი ხის გამხმარ ტოტზედ და არ მზიარულებდა ამ მშვენიერს ღროს ისე, როგორც სხვა ბევრი ფრინველები; მაგრამ, როდესაც დაფაკირდი, მიეხედი, რომ უსათუოდ ეს საბრალო ჩიტი ობოლია, მშობლები მას დაჰხოცია ან დაჰკარგვია და მპატრონებელი, მარცვლის მიმწედენელი, მფარველი აღარაფინა ჰყავს, რის გამოც ესე გულ-საკლავად ზის დაღონებული.

მე ძრიელ დამენანა ის, მახსოვს ცრემლებიც მომივიდა თვალებში. ზულითა და სულით მინდოდა, რომ გაფრენილიყო საბრალო ჩიტი და მასოს ხელში კი არ ჩაეარდნილიყო, რადგანაც ვიცოდა, რომ ფრინველებს, საზოგადოთ, დატყვევება და ეწრო გალიაში მომწყვდევა არ უყვართ.

მასო მიახლოვდა ჩიტს. პატარახანს ფეხი შეაყენა; ორჯერ-სამჯერ ეშმაკურის ცქერით წინ აუარ-ჩამოაურა; ბოლოს მძიმედ მიცოცდა და ხელიცა ჰსტაცა.

— თქვენი ჭირიმეთ! ჩიტი დაფიქირე, ჩიტი! ყვიროდა გახარებული მასო; იმას კი აღარა ჰფიქრობდა, ჩიტსაც ისე გაუხარდა თუ არა იმის ხელში ჩაეარდნა.

მართალია, მასო საბრალო ჩიტს მიეპარა, მაგრამ, როგორც შევამცნიე, მიპარვა სრულიადაც არ იყო საჭირო: მასოს თავის ჭკუაში ფგონა, ხერხი ვინმარე, ჩიტს არ დაეენახვი და იმიტომ დაფიქირეო; ის კი არა და, ჩიტი ყველაფერსა ჰხედავდა, კარგათა ჰხედავდა, მაგრამ თავის დახსნა, გაფრენა კი არ შეეძლოა რადგანაც უპატრონობისგან სრულიად ღონე მიხდილი იყო.

— მასო! მაგ საცოდავ ჩიტს თავი დაანებე, თორემ შენს ხელში ორ ღღესაც ვერ გასძღობს, შეუშნეველად დაღვეს სულს! ხომ ჰხედავ, ისეც კაი ფერი არ აძვეს—უთხარი მე ჩემს მეგობარს.

— აბა, მეც იმიტომ მსურს წაფიყვანო შენ, რომ სიკვდილს გადავარჩინო, კვენით მიპასუხა მასომ.

— მაღარჩენით კი ვერ გადაარჩენ შენ მაგას და ბოლოს მოღება კი აღვილად შეგიძლიან: რა იცი შენ მაგას რა ჰსტკივა?



რა იცი, მაგას რა საკმელი არგებს? რა იცი, მაგის სურვილი რა არის? მაგ უბედურს ჩიტს ამაებისას შენ ვერაფერს ვერ გაუგებ და შენ ხელში ჭირზედ ჭირი მოემატება, მოემატება დარდი, ჩაეარდება შიშში და, აბა, ბოლოს მოღებაც ამას შეუძლიან. წარმოიდგინე, შენ უნდა ჩასვა საბრალო გალიაში, და ამით მოუსპო თავისუფლად ფრენა; მაგას აღარ ელირდება ამხანაგებში მზიარულება—დაიწყებს ნაღვლობას; ამის გარდა, რამდენჯერაც შენ აუვლ-ჩამოუვლი გალიას, იმდენი შიშის ზარი დაეცემა მაგას—ეგონება რაიმე მტრობას გამიწვესო. შენც რომ არ იყო, შენს გარდა სხვა ყმაწვილებიც იქმნებიან; ყმაწვილებს გარდა, ძაღლია, კატა; ყველა ამათი დანაწეა და ანლოს გაელა საბრალო ჩიტს გულს აუთრთოლებს, აუშფოთებს და, აბა, ამ გვარი მდგომარეობა მაგას რა კეთილს დააყრის? რომ გაუშვა კი—სულ სხვა იქმნება: მაგას უსათუოდ თავის ტოლ ჩიტებში გამოუჩნდება მზრუნველი, რომელიც ათასწილად შენზედ უკეთ მოუვლის, რადგანაც ჩიტის სურვილი და წადილი ჩიტისათვისვე უფრო ცხადია, ვიდრე ჩვენთვის.

— ბიგუცი, შენ ბევრს ნუ ლაპარაკობ. თუ ამას არ ესიამოვნება ჩემთან ყოფნა, მე მესიამოვნება ამის ჩემთან ყოფნა! შენ რა იცი როგორ გალობას ისწავლის ეს ჩიტი! ჰოველ დილას დაიწყებს საამურად შტვენას, ჭიკჭიკს; მე კი ლოგინში ვიქმნები წამოწოლილი, სულ-განაბული მოვისმენ მისს საამურს გალობას და ყოველთვის ამგვარად ლხენით გავერთობი... აბა, მითხარ, რა სჯობია ამას? იტქვა ეს მასომ, ჩაისვა ჩიტი უბეში და ზურგი შემომამკიცია, თითქო მეუბნებოდა: კმარა დანაშაული, აღარ მინდა გაგიგონო.

### III

მეც ამის შემდეგ თავი დაეანებე ლაპარაკს. საღამომდის დადრჩით ვენახში. სწორედ მზის ჩასვლისას დაგბრუნდით შინ. შურძენი, როგორც ამბობდნენ, ჯერ ისე დამწიფებული არ იყო,



მხოლოდ აქა-იქ თვალი შესვლოდა; ერთი კვირის ან კვირა-ნახევრის შემდეგ კი საკმელიც იქნებოდა; ამიტომაც მე და მასომ სიტყვა დაედეთ, უსათუოდ წავსულიყავით კიდევ ვენახში, როცა ეს დრო გაივლიდა.

ბაშორების დროც დადგა. ბამოვემ შეიღობეთ ერთმანერთს და წავედით თავ-თავისას. მივდიოდი შინ, მაგრამ სირცხვილით ვიწურებოდი: არ ვიცოდა, რა გზით გამემართლებინა თავი დედასთან. რომ მეთქვა, პურის ცნობა დამაფიწყდა და იმიტომ წავედი მეთქი, — სიცრუეს ადვილად შემამჩნევდნენ, რადგანაც, დილით რომ ლოგინილამ ვდგებოდი, ჩემ თვალ წინ კომსა ზეღავედა. ისევ ვამჯობინე მეთქვა, მასომ ძალად წამათრია მეთქი. ამას უფრო ადვილად დამიჯერებდნენ, რადგან წინადაც უნახავთ ჩვენებს, რომ მასოს ძალად წაუყვანიერა შინილამ.

შინაც მივედი. ბულმა ფანჯკალი დამიწყა, მაგრამ ტყუილად კი:

— სად დაიკირგე, მთელი დღე გექმებთ! — ამ ორიოდ სიტყვით მომეგება დედა ჩემი და სულაც ამაზედ ჩაიარა მისმა გაჯერებამ. მე დავმშვიდდი.

მალე დამეძაც მოატანა. მახშამი ეჭამეთ და დავწეით კიდევ დასაძინებლად. პარგა ხანი ევტრიალე ლოგინში; სულ მასოზედ და მის დატყევებულ ჩიტზედ ვფიქრობდი; მეგონა, დილით რომ მასოსთან წაველ, ჩიტი მკედარი დამხვდება მეთქი. ამიტომ საშინლად მეცოდებოდა საწყალი.

დილით აღრე გამომეღვიძა. ჩავეცი ტანისამოსი, დავიბანე პირი და გავეწიე მაშინათვე მასოსაკენ. ჩემდა სასიხარულოდ, ჩიტი კოცხალი დამხვდა. მასოს საილადაც ვშოვნა მეთულის პატარა გალია, მოემწყვდიენა შიგ ჩიტი და დაედგა გვერდით.

- იცის ვალობა ამ ჩიტმა, თუ არა? — ვკითხე მე მასოს.
- ჯერ არ იცის, მაგრამ მალე კი ისწავლის.
- ჰო, პატარა ვიწრო გალია უშოვნე, წაიღე, ზედ თაროზედ დადგი და საუცხოვე რამ გაჭობას ისწავლის — დაცინეთ



უთხარი მე მასოს; მაგრამ, როგორც ვამჩნევდი, თავის ჭკუაში მასო კიდევ მე დამცინოდა.

მე ხშირად დავიარებოდი მასოსთან იმ განზრახვით, რომ გამეგო, რა დღე ადგა უბედურს ჩიტსა მასოს ხელში და ყოველთვის ვხედავდი, რომ ჩიტი წინანდებულად დაღონებული, ფრთებჩამოშვებული იჯდა ხოლმე გალიაში; ვხედავდი, რომ მასო უზიდავდა მას ფეტვსა, სხვა-და-სხვა მცენარების თესლსა, კალიებსა და სხვა ამ გვარ საქმელებსა; ვხედავდი, რომ გალია არასოდეს გარეთ არ გამოჰქონდა, სხვამ არ მომპაროსო; კარებს ხომ სულ არ გაუღებდა—გაფრინდებოა. მხედავდი იმასაც, რომ ჩიტი მაინც არა გალობდა და მასოს, ჯაფრით არ იცოდა რა ექნა: ვაჰმევე ვასმევე და მე კი არ მასიაზოვნებს გალობითაო.

სხვა-და-სხვა მიზეზების გამო მასოსთან სიარული ღროებით შეესწყვიტე. ბოლოს, ამ ორიოდ დღის წინად, მოვიდროვე და დიდის მოუთმენლობით გავემგზავრე იმისაკენ. მერ წარმოიდგენთ ჩემ გოაცებას, როდესაც ჩიტი ისევე ცოცხალი დაჰხვდა თუმცა, მართალია, უფრო ავი ფერი დასდებოდა. მასო-ლა?—მასო კიდევ თმებს იგლეჯდა:—მე მაგის ლოლიობით მოვიღალე და მაგისაგან სიამოვნება კი ვერა ენახე-რაო.

მართლა რომ საკვირველია მასოს საქციელი:—იმ საბრალო ჩიტის ლოლიობით მოვიღალეო, იმის საქმლის ზიდვა მომბეზრდაო, სარგებლობაც არა მაქვსრაო, იძახდა და გაშვებით კი ის უბედური ჩიტი მაინც არ გაუშვა!...

ლილიპუტი.





ლომკეცი.

ჴდაზაბი.

VI.



აღაქი ქართუბანისა  
 მეფის არისო სატასტო;  
 ის არის იმ ქვეყანისა  
 თვალი და გული სულ მარტო.  
 იქ არვის ტუულა არ არის,  
 ვველა გზას მიეშურება,  
 ყოველი შრომის ინატრის,  
 წარმადი იქ ვერ დარჩება.  
 სდულს და გადმოდის ცხოვრება  
 ამ ქვეყნის არე-მარესა,  
 მართაღს აქვს ტკბილი ცხოვრება,  
 ცრუ სვამს ნადველსა შწარესა.  
 ქვეყანას მეფე განაგებს,  
 მას ქვეყია ბაქარ სასიკლად,  
 დიდსა და მცირეს ამხნეებს  
 საშეფოს გასამაგრებლათ.  
 თვით იგი ქალაქში ცხოვრებს,  
 სამი ჴეჯს მსეთ-უნახავი,  
 უმათათ საქმეს არ არსევს,  
 ხელთა აქვთ ქვეყნის საცავი.  
 მას ქალაქს მოშორებითა  
 მთა არის შავი ტუიანი;  
 მდინარე სასწქერებითა  
 ცივი, ბევრ-კალმსიანი;

იმს წყალს ორთაჲ კიდითა  
ძეუნა, ტირიფი ჩაჲეკება,  
მის ბოლოს ეხო მწვანითა  
და უკვილებით იძვობა.  
წყალზე წისქვილი ქვით-კირის  
გადადგომულია ჩარსითა;  
შიგ ძეწისქვილე ასი წლის  
ზის, განთქმულია სწავლითა.  
არც მიჰქვთ მასთან საფეხვაკი,  
არც გამოდიან ნაფეხვითა;  
ხმს დაეარდნია მას ზვი,  
გზათ ჩაუვლიან ძაღვითა.  
მაგრამ დღისით და ღამითა  
ისმის წისქვილის გრიალი:  
ქეპებს სვიძირა მარცვლითა  
აჲსებს, შიგ გაჰქვთ ცქრიალი.

„მოხუცს ჰეჲს მოჲმე ურბისვი,  
ხარ-ურბით გამართულია:  
აჲს მისგან ბრძანება ივიცხი,  
კოშკის ზიდვა თქვილის თქმულია.  
მანამ წისქვილს სიუსვე  
საფეხვების არ მოეშლება,  
სანამ შეივებს სიმართლე  
კანონის არ დაეშლება.  
დიდსა თუ მცირე საჲმეში  
მოხუცი მარნეულია,  
ქეპინის საჲრონო წარუხვებში  
ერი ჰეჲს მადრეულია.  
შეივებს თავის სამთავრო  
უჲვარს, თავსა სდეებს იმისთვის,  
თუ რამ ემისვია საჲვარო,  
სხვერვლს სწირავს იმის გულისთვის.

მასაც კნდობს სამშობლო,  
აღწეულია ხალხისგან...  
დრო მოკა, ისევე უბრძლო  
კაცად იქცევა იმისგან,  
მას აზრდ გაჭკვირს ზოროფიონი.  
ჩშირად ჩაიფრებს მამსა;  
სმუღს სამართალი ორწიონი,  
არ მოუდგება მამსა.  
მის გამო ხალხსაც ის უფიარს  
და გაუხდია უფროსად,  
ზატოეს სტუმს მისსა სამსა ქაღს,  
უწოდებს მსეთ-უნსაცათ  
მათი სიამე და ხალხის  
ყოველ სეჭეში სწორთა,  
მათ ჭირსა ხალხიც ინაღვლის.  
გულ მტკივნეული ორთა.  
ვის-უღის მთები სამეფოს,  
ვით გაღვანთი, არტყინს,  
მთას იქით დევის საუთელს  
თსის წვერს კაცნი დასტოანს.

„შორს იაღბუჩის ცადაღმა  
მინდარი დაეფისება;  
არც აზის აღმა, არც დაღმა,  
არც სევი დაეღისება.  
იქ სეკვას, მიწას და წუღას  
სულ თეთრი თეთრი დაჭეკვას,  
ცხოველს, თვით კაცსა და ქაღს  
მურთი არ მოკვიდება.  
წაფისუღს და წამთარს თოვლია,  
წუღ ქერს კაცი მუშაობს;  
შირსეკ თსის წვერი აუღია,  
არ ცივს, მუღამ მომარაობს.

მათ მსახურებს ირქმნი;  
ვით ცხენებს, ისე სმარობენ;  
მარნიდნი, არა ურქმნი,  
უბიათ, მითი მგზავრობენ.  
მათი სარხია თევზის ფხა,  
ურქმების ძღველებს,  
მათ მეტი არც ძრახა, არც თხა,  
არ ეყავით სავლელად ქალებსა.  
ირქი სავსეს კარავათ სკამს,  
ძაღლი თევზის ხორცს შოულობს;  
როცა სწყურია ქონს სკამს,  
სახდლო მეტს არას თხროლობს.  
იქ სძლეოს თეთრი ზღვა სსლვრავს,  
ბრძანებლობს თეთრი დევი;  
წაღვოტი დიდი რამა ჰქვს,  
მვირთხასი ქვეყნის მშვენიო.  
შივა დგას ჯღვის ხე სსმული  
ძარვლიტის კოკრებით,  
ვაშლის ხე რქო-მოსსმული,  
ოქროს დედლები კვრცხებით.  
გარს წაღვოტს ზღუდე ადგია,  
აუწდამელი ბაწრითა,  
ჭიმვარს წინ თეთრი დათვია,  
ჰკი, დაბმული ვაჭკვითა.  
წაღვოტში დიდი ტბა არის,  
მის შირზე სმინავს თეთრ დეკს;  
დიღს სლამოს იღვიძებს,  
ანკებით იჭერს ტბის თევზსა“

„თეთრი დევიან მივლობელი  
თეთრის ზღვის, თეთრის ქვეყნისა.  
მის მოთხილობდა ეოკვლი,  
გარდა ამ ხვერის ურისა.“

ყოველ-წლივ ასი ქალწული,  
უცხო ტომთ სამთავროებოდან  
ათასში გამარხეული,  
უნდა კვსავნათ იმ დევთან;  
ათასი ვაჟიც, ოცის წლის,  
ათი ათასში რჩეულნი,  
ტანსართ, მკვავსნი ზირად მზის,  
მის სარჩათ გამწვადეულნი.  
დექს აქვს გაღვიძებული  
მადა კაცის სორციოთ;  
ქალი და ვაჟი ქებული  
იგელის სართთ და გლოვიოთ.“

„ერთი-ღა ქვეყნად ვადარხა  
დევის კლანჭისგან უხეუბლათ —  
ეს ხუნი ერი. მას დარხა  
მხოდლად ქალ-ვაჟი უკლებლათ.  
დექს გაგვანა ეს კუთხე  
სავსეუ არის გმიორთა.  
არ ვიცი, შიში თუ სავითხე  
მეს აუგონვდა კბილთაო!“

„თურმე დიდის სნით დევის  
მტკობაჲ ქთანდა ვკელსაო.  
ეს იყო მკვავსი კაცისა,  
ქმსდენ რინ გიღ გველსაო“  
მას ქთანდა კტლი ცუცხლისა,  
თვალეუთ ღამით გამწათა,  
თავი და კუდი ვეშისა,  
არ ჩერდებოდა ძლბათი.  
ფეხეუთ ეზ რეინისა.  
თვით შავი, უსარ-მსწარი,  
სმა ქთანდა იმას ორბისა,  
თან მისძსოდა მთა-ბარი.

საც ერთსულ კტლს გაკვლო,  
შე-გულ გაქტან გარეში,  
რეისის წოდები დაგეო,  
წყაღზე გაქლო სიღები.“

რის იყო წღვანთა ზღვრისი,  
ურინისის სომღდებისა,  
ამაჟი, თავის მომწონი,  
სიმდიდრე ქონდა გუნდისა.  
ხმელეთს ოქროთი იზერბდა,  
არ იყო მტკობი კანისა;  
ოთორს დეკს გურა გუბდა,  
ძიულაბელსა წრდილა-სამხრისა.  
მას შემუნდა მისი ავვის სე,  
დედღეში ოქროს ფრთიანი;  
მისი წურმუხტით სხმული სე  
იაგუნდ საყოფიანი.“

რათ წელში ერთსულ შავს წღვანზე  
მოქქუნდა ინგილ-გველიო,  
გამოვიდოდა სმელეთზე,  
სვდებოდა მეფის ერთი.  
ბაქანს თვითონ ზარფირით  
წინ მიუძღოდა დრო მთა,  
აიას ნაირის სკვანავით  
ძღურა ისმოდა შორსაო.  
თას ახლდეს მეფეს ვაწინი,  
ამათ მიქქუნდათ თასითა  
ერთი ცხრა გამოჯის ზურნი,  
ძარღვი ოქროს სინითა.  
ეს აამებდა ინგილ-გველს...  
გახსნიდა გუნდის კტლსაო,  
გამოუშვებდა ზინსაიულს,  
წითელს კანს გველსაო.

თავს მუწარადი ეხურა,  
რკინითა შუქედელ იყო;  
შირსე წვრილ-თვალა ეხურა,  
ხელს რკინის კვერთხი აქლა.“

„ჯარი მუხლკეთა დასდევდა  
სულ ღასტით დაკანშულით;  
მუძღვრეთა რაწმი მისდევდა,  
საქონლით დატვირთულით.  
თვალ-მარგალიტი მრავალი,  
ქარვა-მარჯანი ტომბითა,  
საკურდი, ქირმანის შალი  
საზნობით, რიგით, წყობითა  
მოკრთმეოდა ბაქარსა  
ინგილ-გვედისგან სახუქრათ.  
წღვის მუფეს, სასუ-ჯავარსა,  
იწვევდა ბაქარ შინ მძურად...  
მუფისა ვრი ღსინობდა  
წღვის სელმწიფისა სტუმრობით,  
იმის სლეუელთა იწვევდა  
და მასწინძლობდა განცხრობით.“

„გვიდა ხანი მრავალი,  
აღარ მოსულა ინგილი,  
არც კანი მისგან მავალი,  
არც ჯარი ღასტით მოხილი.  
ასე ეკანა მუფეს  
ინგილმა მოგვიმულაო,  
ან ჩაიღუპა შავს წღვასა,  
ან სსკვან-გადასულაო...  
ამ ფიქრში იყო ბაქარი,  
როს წღვით გამოხნდა მუხლკეო,  
ტანსე ეძოსა აბჯარი,  
ოვითან კა იჯდა თქვესეო.“



მოადგა ზღვის კიდეს,  
გადმოსტა მეზღვე თქვიდან  
და წარუდგინა მეფეს  
წიგნები ისეილ-გველისგან:  
„—მე მოვალ დევის საბრძოლდა“—  
უთვლიდა იგი მეფეს—  
„მსურს შენი მიწა სადგომათ,  
„რომ ქონდეს ომში ჩემს ერსა.  
„ამისთვის მოგტეძ სომადლებს,  
„გასწავლი ზღვის სკლამას,  
„დაგიმორჩილებ ზღვის ქვეყნებს  
„და დაგიმკვიდრებ დიდებას!  
„ოეთრსა დევეს მიწა უზურთა  
„სსვა ტომებს ათმევეს ქალ-ვაჟსა,  
„მათს სისხლში სკელი უსურთა,  
„აძულებს ვეკლას თვის თავსა!“

„ერთი-ღა სვესა გრზომადვართ—  
„სეში და შენი ერთა,  
„მისი მორჩილი არავართ,  
„ამით ვართ ბედნიერთა...  
„მაგრამ სიმეუდრე არ ვარჯა,  
„როს კარსე ვადგას მტურთა...  
„თუ ნანადირი დაქვარჯა,  
„მოგვეზარება მეელითა.  
„თვითონ შეუდგეთ მის ვნებას,  
„ესა სჯობს ვაუწყებას,  
„მივეწდით ღვთისა განტებას,  
„სუ დავთმობთ ბოროტებას!“  
„მეივეს ეწვია ხალისი  
„ამ აშხის მოსმენითა;  
„ვით იუთ იმისი წესი,  
„აწვია იმ ღამითა



რჩევასე თავის ქალები,  
 ვაწინა მეთვის გამტენი,  
 ერთგულნი კარის კანკები,  
 სასკოლონი დასწავლენი,  
 კარნი აფრინეს წისქვილში,  
 მოვიდეს მეწისქვილე,  
 ის უნდა დავადეს კრებსში,  
 რომ რჩევა გახსნას მალეა

„გაილა ოქროს კარები  
 ოქროს დარბაზში მეთვის...  
 ცალ-მხრით სდგას ბროლის ტასტები,  
 სასხდომნი სამის მთვარისა,  
 მათ უკან აძლდებულსე  
 ოქროს თაღა შერული,  
 მეთვის გვირგვინი სდგას მასე,  
 წის თაღში მამა მორგებული.  
 მოვიდენ მეთვის ასულნი,  
 დასდენ მამის წის ტასტებზე:  
 რჩევისა წვერნი მოხულნი,  
 ჩამოქმედებენ სვამებზე.  
 მკრამ ვერ რჩევა არ არის,  
 მეწისქვილეს კლანს.  
 აი, ისიცა შემოდის,  
 მის წის ექვანი დებანი.“

ეძახუდი თეთრის წვერითა  
 მიესაღებდა კრებსა,  
 მეთვის წის თავის დასრითა  
 თავისს სცემს მისსა ქალებსა.  
 თავს სოფელს ბერული ქუდი,  
 სელს ვაჯარუენი უჭარავს,  
 ტანს მკვი კბა-მუდი  
 ანკია, კოჭებს უფარავს.  
 სრას ჯდეს მოფარდაგულსა,  
 დაიწეებს იგი რჩევისა...  
 ყურს უგდებს ექვს მოხულსა,  
 თვით მეთვრ იწეებს სმენასა.“

(გაგრძელება შემდეგ №-ში).

ფიჭვი ან ფიჭვისა.

(პროფესორის მ. ნ. ბოლდანოვისა, რუსულიდან)



ქნება გქონია შემთხვევა, მკითხველო, ზოლო-  
გიურ ბაღში გასეირნებისა. მე დარწმუნებული  
ვარ, შენ ყურადღებას მიიქცევდნენ — დიდებული  
ლოში — ყველა მხეცთა მეფე — ღრენია ეფხვი,  
სპილოვბი, მაიმუნები, ლამაზი ხობბები და სხე,  
ერთის სიტყვით ყველა ისინი, რომელნიც სახელ-  
გათქმულნი არიან თავის ძალ-ლონით, სიდიდით, სიმშვენიერით  
ანუ მსწრაფი და მარჯვე მოძრაობითა. ამასთანავე დარწმუნებუ-  
ლი ვარ, შენ არ მიგიქცევია ყურადღება იმ მღუმარე არსებები-  
სათვის, რომელნიც დღითი-დღე უძრავად სხედან თავიანთ ვიწრო  
გალიებში. აი, მიუახლოვდი კიდევ ამ საპყრობილეს — „ოჰ! არწი-  
ვები!“ — და აუარე გვერდი. შემცდარი ხარ; გირჩევ დაუბრუნდ-  
ე, დააკვირდი ამ ამაყ არსებას. უძრავად, თითქოს გაქვავებული,  
ზის ეს ფრინველთა მეფე; თავი როგორღაც განზე გადაუხრია, მისი  
გამჭრიახე თვალეი როგორღაც დაჭრენებით ეძებს რაღასაც მალ-  
ლა არე-მარეში. ამ გვარად მიდის მისი დრო ყოველ საათს, ყოველ  
კის მარად დღეს. რამდენი ფიქრები გაუელის თავში ამ ძალა-  
უნებლიეთ დატყვევებულს. მაგრამ, ცუდი არ იქნება გაეგოთ,



რას ეძებს ეს არწივი დედა-მიწის სივრცეში, რა ფაქტებშია გართული მთელი დღეობით? აბა, დააკვირდი—აგერ მისმა თვალებმა გაიღლე, მიხწნილი ხმაც ამოვარდა მისი გულიდამ, აიშალნენ მისი მძლავრი ფრთები; ერთი წამიც—და არწივი კიდევ გაღმრეშვებოდა თავის ადგილიდამ, მაგრამ ფრთა ხედება რკინის გალიას; საბრალო ფრინველი, თითქოს გამოიღვიძაო, შეიკვცაეს ფრთებს, ხელ-ახლად მოთაესდება უძრავად თავის ალაგს და მიეცემა ისევ ღრმა ფიქრებს. ამ დროს რო დააკვირდე მის გამომხედველობას, უთუოდ გამოიცინობდი იმ მიზეზებსაც, რომელნიც მას აღიღვებს: ეს იყო ეხლა მალლა ცაში გაიღვია იხვების გუნდმა. აქმღერია არწივის გული, გაეშურებოდა მსწრაფლ იქითკენ... მაგრამ შეუძლებელს ვერ შესძლებ: გალიის კედლების გამოქსნევეა ყოველად შეუძლებელია. მოიმღუსა საბრალო და ჩაფიქრდა.


წარმოუდგა მას გაშლილი მინდორ-ველები მდ. პრაგვის ხეობისა. მრთს თვალ-უწვდენელს კიდვზედ გაღმოსცქერის ვეებართელა მუხა და მის ხუჭუჭ წვეროში დედა-არწივის ბუდე. იქ სხედან ისინი და გაღმოსცქერიან მთელს არე-მარეს. მგონებ ბუნებაზედ უძლიერესი მათ არა ეჩენებათ რა. აი, პრაგვის გაღმა, შორს გამოსჩანან ქალები, მთლად მწვანით შემოსილნი, აგერ მამა და დედა არწივი მალლით თავს ევლებიან ამ ქალებს, პატარა არწივები კ თვალს არ აშორებენ მათ. აი, დაცხა კიდვცა, მაგრამ არწივები სულ თავს დასტრიალებენ ქალებს. მწყემსებმაც მორეკეს ფარა წყალზედ. ჩუმათ!—არწივმა დაიკიელა და შურდულივით, ფრთა-შეკუმშული წამოედა თავ-ქვე, დაეშვა კიდევ დედა-მიწას, არც კი გამოჩინს ჯაგებს იქით; აი, აეშვა კიდევ—ბრჭყალებში რალაც თეთრი გამოჩინანს. ახლოს, კიდევ ახლოს, ოჰ, სიხარულო! ბატკანს მოათრევს, და ამ დროს პატარა არწივებმა სიხარულისაგან გაიჟლიელენ.

ამ გვარად გადიოდა ტკბილად და მხიარულად დღეები. მამა და დედა არწივი ასე ანაზებდნენ თავის ნორჩ შვილებს ხან ბატით, ხან ბატკნით, ხან კურდლითა და ხან იხვითა.

იმათ არ იცოდნენ თუ რა სიმშლილი იყო დედა-მიწაზე. მაგრამ ბედმაც უმტყუნა. მით დღეს მოვიდა ამ მუხასთან გლეხი. „ბი, თქვე ავაზაკობო თქვენა, თურმე აქ არის თქვენი ბუდე! მაშ მაცალეთ!“ და მიაღგა მუხას; აცოცდა ზედ, ამოჰკრიფა იქილამ ბარტყები და გადმოუშვა ძირს. ჩამოვიდა ძირს და მოჰკრიფა იხინი სახლში წასაყვანათ. ღინაზა თავის გასაჰკრი დედა-არწივმა, ერთბაშად თავს დაეცა ქურდსა და მისცა სრული თავისუფლება თავის კლანჭებს; მაგრამ შეიღობის წართმევა მაინც ვერ მოახერხა, მხოლოდ მისი ქულა გაიტაცა თან. ბლენხა გონიერი იყო და აღრევე იგულადა თან კამბალა-ჯოხნი. მიუახლოვდებოდა თუ არა დედა-არწივი გლეხს, მაშინათვე მოიგერებდა; ვერაფერი ვერ გააწყო არწივმა. ამ გაი-ვაგლახით მიაცილა არწივმა გლეხი სოფლამდის; იქ მოიტაცა კრუხი დედალი და გამოეშურა.

მოიგონა არწივმა როგორ ჩაუყარდა თათრებს ხელში და ასწავლიდნენ; როგორ აღრიან დილით გამოატარებდნენ ჯოხზე, როგორ არ ჰკლავდნენ მას შიმშლით და უძილოთ; როგორ შემოაბეს ფეხებზე თასმები და თვალები აუხვიეს. ამ გვარად აწვალდნენ, სანამ არ მოშინაურდა და დაძახებით ხელზედ არ მოჰფრინდებოდა საქმელისათვის. მერე იმ თათარმა წაიყვანა ის ყირგიზებში და მოჰგვარა ერთს იქაურს თათარს ისეტას.

ისეტასთან სულ სხვა ნაირი ცხოვრება ჰქონდა არწივის. აქმევედა საკმაოდ; უყლიდა, ეფერებოდა, მინდვრად ატარებდა, ერთის სიტყვით, ულოლიებდა ესე, როგორც გამდელი. ამ გვარად ცხოვრებაში არწივი დასრულდა კიდევ; ფრთები უფრო სუფთა და მბზინავი გაუხდა, თვალებმაც თამაშობა დაუწყეს. მხოლოდ გაუბედავი რამ იყო ბავშვსავეთ; ისეტას ერთ ნაბიჯზედაც არ მოჰშორდებოდა ხოლმე. შეჰკაზმიდნენ ისეტას ცხენს თუ არა, არწივი ერთბაშად გაჩნდებოდა მის წინ ჯოხზე და ერთად გაეშურებოდნენ სასაირნოთ მინდვრებისაკენ. მხოლოდ ერთხელ, შემოდგომა კიდევ დამდგარიყო, დილა-აღრიან ისეტა თავის არწივით გავდა მინდვრებში თუ არა, შორს, ჯაგებში, უეცრად



მელია გამოჩნდა. პრთბაშთ ჩამოიყვანა მან არწივი ჯოჯბილამ, ასწია ზევით და დანახვა მას მხეცი. პრთი წამოც და არწივი სულ თავისუფლათაა, ისეცა კი შორს მელიას გამოედევნა. პენტოო არწივის გული. ღაშორდა დედა-მიწას და გაეშურა მალლა ჰაერ-ში, სულ ზევით და ზევით. შართოთ გადაეშალა მას ქვემოთ მინდვრებო. აი, ისეცა მელიას მიზდევს. ღაინახა თუ არა ეს არწივმა, შეკუმშა ფრთები და ისარივით თავ-ქვე დაეშვა. მერ მოასწრო მელიამ არწივის შენიშვნა, როგორც ჩაუვარდა მას კლანქებში. ამ დროს ისეცამაც მოასწრო, ეფერება, ელაქუცე-ბა ის თავის არწივს, შესვა უნაგირზედ და მელიას ღვიძლი აქა-მა. ძრეელ იამა არწივს ეს აღერსი, იმას ხომ მამასავით უყვარ-და ისეცა.

ღიდ ხანს ჰსცხოვრობდა ის ამ ყარგიზთან. ბევრი მელიე-ბი, მგლები და სხვა გვარი მხეცებო დააქვრინა მას და ასია-მოვნა ისეცა. ღარიბ კაცისაგან ის გახდა მდიდარი, გაიშენა ჯოჯი ცხენისა და ფარა ცხერისა. ამ არწივზედ მთელს არე-მარეში ხმა გავარდა. ხშირად მოვიდოდნენ ხოლმე ისეცასთან ამ არწივის ნახვას მსურველები, ხან-ღინ-ხან ორასი ვერსის სი-შორილამაც—უნდოდათ მისი სისწრაფე ენახათ. ღა მართლაც აოცებდა ის მნახველებს, მით რომ მახერხებულად ახრჩობდა ხოლმე მგლებს თავის კლანქებში. მაგრამ თვალის დაუდგა უბე-დურებას: ისეცას ეწვია თვითონ სულთანის ბაი-მირზა; ჩააცვდა, უთუთ მომყადე არწივიო—აძლევდა საუკეთესო ცხენს თავის ჯოჯილამ, ორ აქლემს და ერთ დიდ ფარა ცხერას.

— „მდიდრო არა ვარო, მიუფო საწყალმა ისეცამ სულთანს, თუ მაინცა-და-მაინც გნებავს რამე ჩემგან, უკეთესია წაიყენეთ მთელი ჩემი ცხენის ჯოჯი, ცხერის ფარა; წაიღეთ თუ გნებავსთ ჩემი ქოხიც, მაგრამ არწივს, სანამ ცოცხალი ვარ, ვერ დავსთ-მობ: ის ყველაზედ უფრო უძვირფასესია ჩემთვის.“

მწყინა სულთანს. — „მამ თუ ესეა, მოგაგონებ, შე საძაგელო შენა, როგორ უნდა უარის თქვაო,“ და გაუდგა თავის ამალით გზას; მხოლოდ-ღა გამოსჩნდა მტვერი, რომელიც მინდვრები-

დამ მალლა ცაში სეცტივით ასლიოდა. „მალლობა ღმერთს, მგონია ამშორდა უბედურებაო,“ ჰფიქრობდა თავისთვის ისე და თვითონაც გასწია მინდვრებში სანადიროთ. მერ მოაწრო მან ნანადირის შენახვა, როგორც გამოვარდა ბანაკადამ სულთანნი, თავს დაეცა მას და ჩაჰკრა სახეში სანადირო დანა; საწყალი კვნესით დაეცა ძარს. სულთანი წასწვდა არწივს. — „ბა, ახლა ხომ მაინც ხარ ჩემი,“ უთხრა და ხელი წაეღო თასმებს.

ბე არწივი ჰნედაჟა, მკედარი ისეცა უძრავად სძევს და სისხლში ჰსცურავს. საშინელის სიბრაზით ეცემა სულთანს სახეში და ჩაურჭობს მას ყველა თავის კლანჭებს. ბევრი ეცადა სულთანი, მაგრამ თავი მაინც ვერ დაიხსნა და არწივის კლანჭებში სული დალია. მაგრამ არწივის ქუნი ამითი არ გათავებულა. თავის ბასრი ნისკარტით გაუბო მას გულის ფიცარი, ამოჰგლიჯა მას გული და შეჰყლაპა. მიხედ-მიხედნა ირგვლივ, აღარა აქვს მინდვრებს შნო: ისეცა აღარ არის. დასტრიალა, დასტრიალა საბრალომ მის ცხედარს, შეფრინდა მალლა და შეერია ღრუბლებში, რომ იქ მაინც გაექარებინა დარდი. მშვენებრებათ ეჩვენა მას ამ სიმაღლიდამ ქვეყანა; პირველად დასცქირა მან თავის სიცოცხლეში ამისთანა სიმღლიდამ. მის ქვეშ მინდორი ჩუმი, უფერული და მოწყენილი გამოჩნდა; მაგრამ შორიდამ მოჩანდა სხვა მხარე; იქ სულ მთები და ტყეებია, სოფლები აქრელებულია ყანებით და ქალებით; სერებსა და სერებ შუა ჩამოხრიალებენ ნაკადულები და წყაროები; ჩაქარდნილს ადგილებში ტბები და ქაობებია; ამით ზედ, თითქოს ფუტკრის გუნდიაო, ათას ნაირის კაცილით დასტრიალებდნენ ფრინველები. ამ სურათმა მიიზიდა არწივის თვლა და იქითვე გაეშურა. მიუახლოვდა კიდევ—აი, არაგვიც მოჩანს. მერ იცნო ჯერ მან სამშობლო მხარე. მიჰფრინდა მაღალ მთასთან და შემოაჯდა საღს კლდებზე დასასვენებლად. რბის და ღრიალებს არაგვის წყალი და თავის ზვირთებით ძირს უთხრის მაღლის, ტყათ შემოსილს მთებს. შართოდ გაუწყვია ადიდებულს არაგვს თავის ნაპირები და რა არ მიაქვს მას თან. აი, შენედეთ მოცურავს ძრიელი მუხა; მეტათ ახლოს მოედგა



ნაპირთან ფესვებო. მითქოს დასცინოდეს ამის მღვლეარე ზვირთებს და მართლაც რომ დასცინოდა მთელი ორი საუკუნე, მაგრამ სძლიეს ზვირთებმა, ფესვებიანთ ამოაგდეს მუხა და მიაქანებენ მას ეხლა შორს—პასპის ზღვისკენ. მოგზაურიცა ჰყავს მუხას, ბრუციანი მლიფი ყურდგელი ჩამალულა და თრთის იმის ხშირ-ფოთლიან ტოტებში.

მერ მოსთელი ყველა ამანათს, რაც გაზაფხულობით მიაქეს არაგვსა პასპის ზღვაში: ლეში, ფიჩხი, ხეები, ერთის სიტყვით ყველაფერი, რასაც კი მოეკიდება მისი გაუმადლარი ტალღა. მოაგონდა არწივის, რომ თვითონაც აქ—არაგვზეა დაბადებული. მართლაც, აი ის სალი კლდე და ზედ ბებერი მუხაც, სადაც იმათი ბუდე იყო. შეჰკივლა მან გახარებულმა, შეჰკივლა, შეჰკივლა ისე, რომ ყველა გალიებში ფრინველებმაც და მხეცებმაც ერთად შეჰსწყვიტეს ხმა. მსლა-ლა მოვიდა გონზედ არწივი; იმის წინ არც არაგვია, არც სალი კლდეები, არც ბუდე, მხოლოდ გალიები, სულ გალიები და გალიები; ამ გალიებს შუა კა ასობით უსაქმო მაყურებლები.

აქ ჩვენც ვავერიენით ამათში. შეჰზარა ყველა არწივის კივილმა, მაგრამ ეინა გაიგო იგი? შამოიცნო ეინმემ ჩვენთაგანმა არწივის ფაქრი?

ნინო.





X

### გეოგრაფიული წერილები.

#### წერილი მესამე.

(ამერიკა.)

საყვარელო ძმაო და მეგობარო რომანოზ!

ორი შენი წერილი მივიღე წარსულის წლის გიორგობისთვეში. დიდათ გამასარა და მამა შენმა წერილებმა; შენი წერილების წაკითხვამ უფრო გამიცხოველა ჩვენის განზრახვის ასრულების იმედი.

შირველად, როდესაც ჩვენ ჩვენი ქვეყნის განცობისა და შესწავლის პირობა დავსდეთ, მე როგორღაც კიბით ვუყურებდი ამ საქმეს და თითქმის შეუძლებელადც მიმანხდა ამის შესრულება. მაგრამ, საბედნიეროდ და სასისარულოდ ჩემდა, ესლა ისე შეჩვენება. ჩვენი აზრი, თითქმის შესრულებულია-მეთქი. ამიტომ ესლა უფრო დიდის სისარულით და შენის წერილებით გამხსვეებული შეკუდგები ჩვენს საქმეს და ამ შირველი წერილით გაგაცნობ საზოგადოთ იმერეთს.

—

იმერეთი დასავლეთ საქართველოს ნაწილია. იმერეთის სამსჯერები არიან: ჩრდილოეთით კავკასიის მთა-გრესილი, აღმოსავლეთით— ლისის ან, როგორც ბევრნი უწოდებენ, სურამის ან კორტახის მთა; სამსრეთით— ლისის მთის გაგრძელება და აჭარის მთები, დასავლეთით— გურია და სამეგრელო. იმერეთის უმთავრესი მდინარები— რიონი და ყვირილას, თავის შემომდინარე მდინარეებით. მდ. ყვირილის სეობა უფრო მთიანია და იწოდება ზემო-იმერეთად; სოლო რიონის სეობა, რომელზედაც მდებარეობს ქვემო-იმერეთი— ქუთაისიდაც დასავლეთისკენ თვით შავს ზღვამდინ— წარმოადგენს გაშლილს, ფართო ვაკეს, რომელიც შემოსილია მრავალ-გვაროვნის სშირის ტყითა.

სადგის სიანსლოვის განმე იმერეთში მეტად ნოტიო ჰავას; ამიტომ მცენარეობა აქ ძირიელ მდიდარია; აქაურს ტყე-ჭაღლებში სშირად შესვლები: ბროწეულსა, კომპსა, ლეღუსა, სურმასა, უნაბსა და წაბლსა; ბნის ტყეებით სომ გათქმულია იმერეთი. ცხრაველებში უფრო სშირია დათვი, გარეული ღორი, მგელი, ტურა; წაიცი არ არის იშვიათი, ირემი, მშველი, კურდღელი, კვერნა და სს. მთრინველები თითქმის ყველა გვარისაა, რაც კი საქართველოს სსვა კუთსეებში მოიპოვება, მხოლოდ სოხობი არ არის აქ ისე სშირი, როგორც კახეთში უოფილა.

თუმიცა კასეთს შენ აღტაცებაში მოუყვანისარ და ამბობ: „გახეთისთანა მშვენიერი მსარე, არა მგონია დედა-მამის ზურგზედ სსვა კიდევ იოსო“, მაგრამ ახლა იმერეთში გადმოიხვედა-და! არა მგონია ბუნების სიძლიერით და ბუნების მშვენიერის სურათებით იმერეთი ჩამორჩეს კასეთსა, მაგრამ რა სსჭირთა ამსვედ ლაპარაკი: ორივე ჩუნი ქვეყნის კუთსეებას და დემრთბ ინებოს, ორივე მსარე ისე აყვავებულიოს, როგორც სსსატრელია ჩვენთვის...

ზემოთ ვსთქვი, რომ იმერეთში სამეტსანი სინოტიკვა-ბეთი. ნათქვამია- გადაჭარბებული არაბერი ვარჯაო და მართლიც არის: თუმიცა სინოტივე მცენარეობისათვის სსსარგებლოა სსსოგადოთ, მაგრამ ბეორეს მსრით სსსარალოც არის, სამეტსავად რიონის გაშლილს ნაპირებზე, სადაც სამეტსანის სინოტიკსაგან მრავალი ჭარბობა; ამ ჭარბებში ზაფხულდობით ღებება წყალი, საიდგანც ამოდის სსშინელი ბურალი და შსამიანი ოშნივარი, რომელიც ქსწამღავს ამ ბუნებით მდიდარს ვაკესე ჰავოს. ეს არის მიზეზი, რომ რიონის ნაპირები, მოსავლისათვის, თუმიცა შეუდარებელი ადგილებსა, მაგრამ თითქმის მთლად დანაღლირებულია, ასე რომ ქუთისიდან დასავლეთისკენ ძირიელ იშვიათად შესვლები რიონის პირად მღებარე სოფელსა, რადგანსა სსლხი ვერ ქსმღებს ამ ადგილებში ციებ-ცხელებსაგან.

რადგანც იმერეთის მომეტებული ნაწილი შემოსილია სშირის ტყითა, ამისთვის სსსხვა ადგილები აქ მეტად ცოცხაა. ზემო იმერეთში ამ გარემობს ემატება სსკმა ვაკე ადგილების უქონლობა და მთიანი ადგილ-მღებარობა; ამიტომ ზემო იმერეთში მეტად სსგრძ-

ნობელია ადგილის სივიწროე, რის გამოც აქ ადგილი შესაძნელებად უფრო ძვირად ღირს, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. აქნება ისეთი, მცხოვრებლები რატომ ტყეს ანა ჰკაფავენ და სხსნა ადგილუბად არ გადაქცევენ, თუ ადგილი ნაკლებად აქეთა. მაგრამ ამხედ უნდა გითხრა, ჩემო მეგობარო, რომ აქ ძნელია ტყის მიწდვრად გარდაქცევა და ამასთანავე მეტად ძვირად ჯდება. ტყე რომ გადაჰკაფო, თუ ძირიანად არ ამოაგდე ხეები, მეორე-მესამე წელიწადს ისევე ამოიურის და ისეთივე ტყე გაკეთდება, როგორც აყო.

ესთქვით, ტყე ძირიანად ამოაგდეს. ადგილი, თუშენ ზოგან, მაგრამ ჭაობიანია და ამ ჭაობებს ამოშრობა უნდა, რომ მოასხსნავად ივარგოს. ჭაობების ამოშრობა მეტად ძვირად ღირს და ამიტომ, შეუძლებლობის გამო, ხელს ვერავეს უწევს ამ საქმესა. მიწა აქ მეტად რბილი და ფხვიერია; ერთი უღელი ხარი და ერთი კაცი სრულებით კმნა, რომ მოხსნას... იმერეთში სამძახათასზე (300,000) მეტი მცხოვრები ითვლება...

ამით ვათავებ ამ წერილსა. შემდეგ წერილში მოგწერ ჭირსხულის მოყვანას იმერეთში, საქონელზე და საზოგადოთ იმერლების ცხოვრებაზე.

ასლა ვი ნება მომეცი, ძმაო, თარიღე შენიშვნა მოგცე შენი წერილების შესახებ. შენ მეორე წერილში მწირდებოდი, რომ შემდეგ თელავზე მოგწერო. მე შეანი, უკეთესი აქნებოდა ვახუთის სასოგადო განხილვისათვის დავემატებინა: ვახუთის ჰაზა, მიწის ნიდაგია, სენა-თესვის წესი; წყლები, ცხოველები, მცენარები; შინაურის პირუტყვის მოშენება, კენახების მოვლა და სხვა ამ გვარები...

ამედი მაქვს, თუ გარემოება ხელს მოგიწევთ, ეკვლას ამებს შემატყობინებ... მეორე წერილამდინ!

შენი ერთგული ვანო.

შუთაისი  
14 იანვარი



- 1). (წარმოდგენილი აკავისავან). უენა, მგრამ, უსმად ბუკრი რამ კარგის მოქმედია; უგურის დაწურებული, ჭკვიანის სანატრელია.
- 2). (იმიხვე). თუესი რომ სელი მოძვიდეს, ზღვაში ჩამვიდეს თავითა, რომ ამომიდეს, თეთრი გზს მოგურწეე ცრემლებით შავითა.
- 3). (იმიხვე). უმაწვილისთვის სსარგებელია, ვარ მისგანვე გაწირული: თავსა მჭრის, რომ გამოძინდეს დაფარული შავი გული.
- 4). (იმიხვე). თეთრი რამ შავზე დასტოდა, სტოკებდა თეთრსა კვალსა, კვალშივე უღვა უმაწვილი, ან ამოარებდა თვალსა.



ინა

სჯომ



სი

წინა გამოცანების ახსნა:

- 1) წარბები. 2) ცხვირი. 3) სამეცნიერო წიგნი. 4) სიძარბო.

წინა რებუსის ახსნა: დღეში მკადი გემოივლია.



# ნ ა ნ ა.

(სიტყვები თ. ილი. ჭავჭავაძისა)

გადაღებული რ. ჰამსაშვილისაგან

სმს

ნა - ნა, შვი - ლო, ნა - ნი - ნა, ნე - ტავ რამ შე — გა - ში - ნა!


სოპრა-ნილი

ნა - ნა, შვი - ლო, ნა - ნი - ნა, ნე - ტავ რამ შე — გა - ში - ნა!

ბასი

ნა - ნა, შვი - ლო, ნა - ნი - ნა, ნე - ტავ რამ შე — გა - ში - ნა!

Piano



რედაქტორი-გამომცემელი ა. ს. ლუცაძე.



მ ე დ ა გ ო გ ი უ რ ი ნ ა წ ი ლ ი



ვ ე დ ა ზ მ ზ ი ა.

ადამიანის

აღზრდის საჭიროება და სიძნელე.

დალოცვილს ღმერთსა და ბუნებას თითქმის უოველ ცოცხალ არსებაში ხაუნერგავს ის ძვირფასი გრძნობა, რომ იზრუნოს შვილებს ადზრდას: ვისაც კი თვალი უდევსებია ფრინველებისა და სხვა ცხოველების ცხოვრებისათვის, ის ადვილად შენიშნავდა, თუ როგორ უვლიან, კვებენ, ზრდიან და სწრთვნიან ისინი თავიანთ ზაცარა შვილებს. რაღა თქმა უნდა, ღმერთს ეს გრძნობა და გაგება იმ გონიერი და თავისუფალი არსებისათვისაც მიუნიჭებია, რომელსაც ჩვენ ადამიანს ვეძახით. ისეთი ველური ხალხი არ უოფილა და არც არის ჩვეყანაზე, რომელიც მოკლებული იოს ამ გრძნობასა და ნიჭს, მაგრამ საქმე ის არის, რომ ცხოველისა და ადამიანის ბუნების და აღზრდის შუა დიდი განსხვავებაა. ცხოველისათვის ბუნებას მიუცია ერთი ისეთი გრძნობა (ინსტინქტი), რომ ის ძნელად თუ შესცდება, როგორც სხვა თვისს მოქმედებაში, ისე შვილების აღზრდაში. თუმიცა მას სწავლით არ შეუძენია ეს ხელფენება, ის ისე ზრდის თავის შვილებს, როგორც მათი ბუნება მოითხოვს. ადამიანი კი სულ სხვა ნაირი არსებაა: როგორც თავისუფალსა და გონიერს არსებას, მას შეუძლია აღზრდას და გაწრთვნას თვისი შვილები, სხვა-და-სხვა მიზეზების ზეგავლენით, როგორც გარგა, ისე უკუღმართად და თითქმის ბუნების მოთხოვნილების წინააღმდეგეთაც, ასე რომ სწავლასა და აღზრდასკა სრულებით დამოკიდებული ადამიანის ბედნიერება და უბედურება, სიკეთე და უკეთურობა, მარტუბლობა და ურტუბლობა.

ამას გარდა ცხოველის აღზრდა არ არის ძნელი და ისე ბევრს და სხვა-და-სხვა გვარ ზრუნვას არ ითხოვს, როგორც ადამიანის აღზრდა. მრავალი ცხოველი ისეთი სწნდება დაბადების დროს, რომ დაბადებისთანავე შეუძლია სიარული და მალე საზრდას ქებნაც ისე, რომ დამაბრკოლებელი მიზეზები არაფელი შეეთხენენ, შეუძლია მო-



უკვლავად იცოცხლოს და აღიზარდოს. ადამიანი კი, როცა იბადება, უკვლავად სუსტი, უსუსური და ნაზია, და, თუ დიდებისაგან მოკლასა და შატრონობას მოკლებულია, უთუოდ რამდენიმე ხნის შემდეგ მოკვდება.

გარდა ამისა ადამიანი ფრიად საკვირველი არსებია. მისი ხორციელი და სულიერი ბუნების გამოკვლევა და შესწავლა, რომელზედაც უნდა იყოს დამყარებული მისი აღზრდა, ძრიელ ძნელია, ისე რომ, თუმცა მეცნიერნი და ფილოსოფოსები, ვინ იცის რამდენი საუკუნეა, რაც შეუდგნენ გულს-მოდგინედ ადამიანის არსების შესწავლას, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი არაფერი იცინ დაწვრილებით, ნამეტურ მისი სულიერი ბუნების შესასებ. ეს ცოდნა კი მიუცილებლად საჭიროა ადამიანის ხორციელი და სულიერი ძალების აღზრდისა და განვითარებისათვის. თუ აღზრდელმა არ იცის ზედმიწევნით ბუნება იმ არსებისა, რომელიც უნდა აღზარდოს, ცნადია ისე ვერ აღზრდის და გასხნის მას, როგორც მისი ბუნება მოითხოვს. აი, ამიტომაც ადამიანის აღზრდაზე უუძნელესი საჩქმე არა არის რა ქვეყანასაზე.

მაშასადამე, ფრიად საჭიროა, როგორც მშობელთათვის, ისე ყველასათვის, ვინც კი ადამიანის აღზრდას ვისრულობს, ზედ მიწევნით იცოდეს ის მანერ, რაც დღემდის გამოუკვლევი და რასაც მიმსვდარ კაცობრიობა ამ ძნელი საქმის—უმაწვილების აღზრდის—შესასებ.

მინამ ესლანდელს მდგომარობაში მოაწევდა აღზრდის საქმე, ბევრი იფერზა და იბორძიკა კაცობრიობამ, მაგრამ არც ესლა შეუძლია მას დარწმუნებით სთქვას, რომ სწორედ ნამდვილსა და ჭეშმარიტს გზაზე სდგას ამ საქმეში, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ეს კი ჭეშმარიტებაა, რომ ესლანდელი აღზრდა სჯობია ბევრად უწინდელი საუკუნეების აღზრდას.

შემდეგ ნომრებში ჩვენ ვეცდებით, რამდენათაც შევიძლებთ, განვანათ „ნობათი“-ს მკითხველები, როგორ უნდა მიწვავდეს აღზრდელს ადამიანის აღზრდის საქმეში დროილად დაწეებული, როცა ის ქვეყნად სხნდება.

წყალბუბელი.





### ს ა მ შ ო ბ ლ ო ე ნ ა .

„ესით ვგოცხლავართ, მით მივეძრს ღმერთს,  
მივეძრს ხმამაღლო შე ტყბილი ენა!“  
ბ. კრიხიაკი.

ჩვენს ქვეყნის განსაკუთრებული მდგომარეობა— ერთის მხრით და საზოგადო მოღვაწე შინთა რიცხვის საშინელი სიძირიერე—მეორეს მხრით, ეს ორი ცხადი მოკლენა ჩვენში განსაკუთრებულს მოკვლეობას გვძებს ვისერსუდ რომ ყოველმა კაცმა თავისი საქმე უნდა იცოდეს და ერთგულად ასრულებდეს მას, ეს ისეთი დაღუჭილი ჭეშმარიტებაა, რომ მასკად ღამაზაგი უჭმი იქნება. მხოლოდ მეორე აზრი—ყოველ ზატიოსან მამულის შეიღს უნდა ცხადთ ესმოდეს თავისი მოქალაქებრივი მოვალეობანი, მოვალეობანი თავისი ერის წინაშე, იქნება ეველას აზა აქვს შეგნებული, თუძცა კი უამისოდ საზოგადო მოღვაწე კიტრად აზა ღირს. თუ ჩვენებურ მასწავლებელს, მკვდელს, მსაჯულს, საზოგადოთ ეველა მოხელეებს ზედ მიწვენით აზ ესმის აზსებითი მოთხოვნილებანი იმ ერისა, რომლის წინამძღოლად აზის მიწვეული, შესამდელებია მან სიკეთის მცგიერ თავის საღსს გაუწიოს დათუერი სამსასური. წარმოიდგინეთ ასეთი სურათი. ზომ მოკესხენებათ, რომ ფერშლეიმს უმეტეს საწილათ მუდინინისა აზა იციან მის მეტი, რომ კარგათ შეასავებენ წამაღს, დროზედ დააღვინებენ ავითყოფს და გაუწივენ ჟეროვან ფარეზობას. ის კი, თუ რათ ეძლევა ეს წამალი და აზა სსკა, რა ელეუმენტებიდამ შესდგება იგი, თვითეულს ელეუმენტს რა გავლენა აქვს ერის სსეულზედ და სსკა ამისთანები, აზ ესმით ამათ. ასეთ ბატონს ჭეზანის ექიმო ავითყოფთან და თან ატანს მომსილავ წამაღს. ვსთქვათ, ექიმს, რამე მურტალი მისწრაფების წყალობით, განუძრანავს ავითყოფის ანდერმის აკება. ფერშლიც უმანკო სულთთ ამსადებს წამაღს, აძლევეს უძღურს ნათქამისამებრ, აზ ასმევეს ცივ წყაღს და სსკა; ერთის სიტყვით, ასრულებს თავის მოვალეობას და კერტვი ჭეშმინობს, რომ ის, რაც უფრო მუყაითად ეკიდება თავის მოვალეობას, მით უფრო უასლოკებს უბედურს ავითყოფს სიკვდილს.



„ეს იგავი მას გვასწავლის“ რომ, ფერმალი რომ არა ყოფილიყო  
ბრმა აღმასრულებელი ექიმის სიტყვებისა და თითონ სტოდნოდა რა  
შედეგი მოხდევს აღნიშნულს წამალს, იქნება დაიცავდა უბედურს სიკ-  
ვდილისგან. ამის გარდა, ყოველმა კაცმა უნდა კარგად გასომოს და  
გამოიკვლიოს, რა შედეგი მოჰყვება მის ასეთს, თუ ისეთს მოქმედებს.

ამ საზოგადო მოსახრების შემდეგ ჩვენ ვიკითხავთ, რა ჯიჯი  
უნდა ეჭიროს სამშობლო ენას ჩვენ სასალხო სკოლებში? რადნად  
უნდა ჰქონდეს მას მიქცეული ეურადღება მასწავლებლისა და საზოგა-  
დოებისა? მოგესხებათ, რომ ერის ერთ თვით-ანსებობის ელე-  
მენტს შეადგენს სამშობლო ენა. ისე ვერ განიმარტება სიტყვა ერი,  
რომ უზარკველსად არ იხსენიოს: იგი არის კანთა საზოგადოება,  
რომელიც ღანარავობს ერთ ენაზედ.

მაშასადამე, ამ გვარი შესედულებით სამშობლო ენა უნდა იყოს  
შირველი საგანი მასწავლებლებში საზოგადოთ და სოფლის სკოლებ-  
ში კერძოთ. იგი უნდა იყოს ბურჯი, ნიადგი და ყოველი სსვა სა-  
განი მას უნდა მოჰყვებ. ეს ჰაზრი ყოველი მასწავლებლის რწმუნებას  
უნდა შეადგენდეს. ეს უნდა შეადგენდეს ერთ მის მოვალეობათგანს  
თავისი ერის წინაშე, თუ უნდა რომ მისმა ღვაწლმა მართული და უტ-  
ყუარი საზრებლობა მოუტანოს სალსს, რომელსაც ემსახურება. მაგ-  
რამ მასწავლებელი ამავე დროს არის შედგოგი და, რასაკვირველია,  
უნდა ნათლად ჰქონდეს შეგნებილი მისი მოთხოვნილება. იქნება  
შედაგოგია უარს ჰყოფს სამშობლო ენას? იქნება ის ერთად ზოგ-  
ერთ ვაჟბატონებთან ამტვიცებს, რომ ენას საყუთარი შესწავლა არ  
უნდა სკოლაში, რომ იგი საკმაოდ შეისწავლება თვით ოჯახში და  
სკოლაში თავის მხრით სსვა საგნებს უნდა მისცეს უზირატკობა? იქ-  
ნება ვისმეს ძალიანაც ჰსურდეს რომ ეს ასე იყოს, მაგრამ მათ სამ-  
წუხაროდ შედაგოგია თავისი უუნიჭიერეს წარმომადგენელთ შირით  
სულ წინააღმდეგს ჰქადაგებს. მოიგონეთ ამოხ კომენსკი, ბეკონი,  
გადმოდით შესტალოცზე და გახსენეთ შედაგოგ-მსიხლოგოგი ბენი.  
მიჭსედეთ უმისსკის, ბარონ კორფს, ბუნავოვს და თვით ჩვენ შედა-  
გოვს იაკობ გოგუბაშვილს—თქვენ დაწმუნდებით მაშინ, რომ ისი-  
ნი სკოლას მარტო ერთსა სთხოვდნენ: შესწავლეთ სამშობლო ენა,  
ართოქტივა და ამ საგნების შემწეობით დააკვირვეთ ბავშვი ბუნებას.




ჩვენ კი რას ვსვამთ? ჩვენმა სოფლის სკოლის შვირდმა ყველაფერი უნდა ისწავლოს. იმან სუდ მიწვევით უნდა იცოდეს გარდა სამშობლო ენისა, მათემატიკისა და რუსული ენისა, — ბუნების მეცნიერებაც, ისტორიაც, როგორც სამართა ისე საერო, და სხვა და სხვა.

აქედამ, ცხადია, ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ ჩვენმა სკოლამ უმთავრესად უნდა დაიდოს მიზნათ: შესწავლა სამშობლო ენისა, რუსული ენისა, არითმეტიკისა, და სამართა ისტორიისა. დაწმუნებული იყავით, რომ თუ სკოლამ ეს საგნები სერიანათ შესწავლა, თუ ბიჭვო აზროვნობს მათემატიკის წყალობით და წაკითხულის გაცემა შეუძლია სამშობლო ენის შემწეობით, ის სკოლას გართავ არ დაივიწყებს წიგნსა და შესწირავს მას ყოველ თავისუფალს წამს, რომელსაც კი მოახლეობს თავის სიღრმისკენ. და თუ ეს ასე მოხდება, მის სკოლას მიუხედავად იმ ძალი მიზნისათვის, რომელსაც ელტობა. ყოველი მეტი საგანი. რომელიც იქნება შეტანილი სკოლაში, უთუოთ დაუძღვის, წაართმევს დროს და შეაიკრებს სამშობლო ენას. მართა ღანაზავი რომელსამე ენასუდ ვერ კიდევ არა ნიშნავს თვით ენის ცოდნას. ენის შესწავლა რთული საგანია და მას ძვეის აჟვას სასაღსო სკოლა, მერე იმ ვიწრო გარემოებებში, რომლებშიც ის არის ჩაყენებული. ერთის სიტყვით, ასე გამიხრავ საგანს თუ ისე, გამოდის, რომ სამშობლო ენა ყოფილა ქვაკუთხედი, დედა ბოძი სასაღსო სკოლის პროგრამისა. მის შესასწავლებლად არა კმარა, რომ საგნები ისწავლებოდეს სამშობლო ენასუდ რამდენიც გინდათ ასწავლეთ გეოგრაფია და ისტორია ქართულად, მაინც ამით თქვენ ენის გრამმატიკულ კანონებს ვერ შესწავლით. აქედამ კიდევ ისა სჩანს, რომ არა თუ საგნები უნდა ისწავლებოდეს სამშობლო ენასუდ და მით ემზადებოდეს ამას მასადა, არამედ თვით ენა უნდა ისწავლებოდეს, როგორც საგანი.

გარდა ამისა, აუცილებელი საჭიროებაა ჩვენთვის რუსული ენის შესწავლაც. და ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ემსწავლი განვითარებულია თავის სამშობლო ენასუ. შემდეგში ვკვდებით ამ საგანსუდ მთავილიანაკოთ.

მალაროელი.

111-5





სამაგალითო გაკვეთილები

წერბ-კითხვის გაკვეთილები.

გაკვეთილი ჰირველი.

მასწავლებელს შემოაქვს კლასში ია, \*) ახვენებს მოსწავლეთ და  
ჭკითხავს: რა მიჭირავს სულში?

მოსწავლე. — ია.

მასწავლ. — სსვა კიდევ რა ყვაილები იცით?

— ყუახო, კარდი, ბაღბა და სსვა.

— მრგვლი ფოთლები აქვს იას თუ გრძელი?  
მორგვლი.

— რა ფერის ფოთლები აქვს იას?

— მწვანე ფოთლები.

— რა ნაირი ყვაილები აქვს იას? რა ფერისა?

— ზატარა, ლურჯი ყვაილები.

— როდის ყვაის ია?

— გაზაფხულზედ, სსვა ყვაილებზედ უფრო ჯდრე.

— რისთვის სმარობენ იას ფოთოლს?

— წამლათ.

— ყვაილები რიდასთვის არის გამოსადეკი?

— სასუნებლად, რადგან კარგი სუნი აქვს.

— ვინა სჭამს იას ფოთოლს?

— ძროხა, სარი და სსვა ბაღასთ-მჭამელი ჰირუტყვები.

— ვანო! აბა, გვიამე შენ სულ, რაც ვსთქვით იაზე!

— ია არის მინდერის ყვაილი. გაზაფხულზედ, გადნება თუ არა

\*) თუ ეს ყვაილი რაიმე მიზეზის გამო არ იშოვება, მაშინ იმის მა-  
გიერად შემოაქვს მისი სურათი.



თაგული, ია მაშინვე ყვაილს გამოიტანს; ფათლები აქვს მორგულად და შწანე, ყვაილები — ლურჯი ფერისა. იასა სმოკენ: ძროსები და სსვა ბაღასთ-მჭამელი პირუტყუები, იას წამლათან სმარობენ. მასმავლ.—ნიკო, გაიმეორე ის რანც განომ გეამბო იაზუდ (ნიკო იმეორებს)—ადექით: ერთი! დასსკადით: ორი! \*)—მითსართ კიდეე, რა არის ია?

მოსწავლე.—ია არის მინდვრის ყვაილი.

— გსთქვათ ერთად: ია არის მინდვრის ყვაილი. \*\*)—გაიმეორე ნათქვამი გოტე, ფასო, სოსო, ილიკო...

— ია არის მინდვრის ყვაილი. აქ რამდენი სიტყვაა?

— ოთხი.

— რომელია პირველი სიტყვა? მეორე? მესამე? მეოთხე?—მეოთხე? მესამე? მეორე? პირველი?

— სოსო, გაიმეორე პირველი სიტყვა (იმეორებს: ია.)—სთქვით ერთად სიტყვა ია! კიდეე! კიდეე!... ესლა სიტყვა ია გსთქვათ გრძლათ. იიიიიიი. კიდეე! კიდეე! სთქვი შენ, დათიკო, ზეტრე, იაკობ, ალექსი... ყური მიგდეთ! (წარმოსთქვამს გრძლად იიიი... და ჰკითხვს)—მთელი სიტყვა ვსთქვი თუ არა?

— არა.

— იიიიიიი.—ესლან?

— ესლან მთელი სიტყვა წარმოსთქვით.

— რა სიტყვა წარმოგსთქვი?

— სიტყვა ია.

— იიიი... რა სმა გეყურებათ?

— სმა ი.

\*) ეს ვარჯიშობა შეადგენს აუცილებელს საჭიროებას, რადგანაც ბავშვების ზუნება მოითხოვს მოძრაობას და გარეშე ამისა ბავშვებს მალე მოსწყინდებათ ერთნაირი შრომა.

\*\*) მასწავლებელი და მოსწავლენი წარმოსთქვენ ერთად რამდენჯერმე. სეართო, სოროთ პასუნებზე უნდა იყოს მასწავლებლებისაგან მიქცეული ჯეროვანი ყურადღება; მათ დიდი მნიშვნელობა აქვსთ ბავშვების ენის გავარდიშებაში და აგრეთვე მათ შესწიერებაზედ.



მასწავლ. ძთელი სიტუაც კსტუქი თუ არა?

მოსწ. არა.

— იიიიიიიი. — ესლა?

— ძთელი სიტუაც.

— რა სმით იწუობა ეს სიტუაც?

— სმით ი.

— რა სმით ბოლოვდება?

— სმით ა.

— ამ რი სმის მეტი სსკა სმაც ისმის, თუ არა, ამ სიტუაცში?

— არა.

— მას რამდენი სმა უოფილა ამ სიტუაცში?

— რი.

— რა სმები?

— ი და ა.

— ამ სმებისგან რომელია ამ სიტუაცში ჰირველი და რომელია მეორე?

— ჰირველი — ი, მეორე — ა.

— სთქვით ისეთი სიტუაც, რომელშიდაც ისმოდაც სმა ი, სმა ა. (მოსწავლეთ მოჭყვთ რამდენიმე მაგალითი) — ადექით: ერთი! დასსუდით: რი!

— აბა, ვინ მეტყვის: რა სმები უკვისწავლეთ დღეს ჩვენ?

— სმები ი და ა.

მასწავლებელი. აჩვენებს მოსწავლეთ „კარტონზედ“ დასატუდს ასიას ი და ეუნებს: სმა ი, რომელიც ჩვენ დღეს დავისწავლეთ, ასე გა-  
მოისატება; მას, ამ ნასატს რომ დაინსავთ, რა სმა უნდა მოგა-  
გონდეთ?

— სმა ი.

— მეორე რა სმა დავისწავლეთ?

— სმა ა.

— სმა ა ასე გამოისატება (აჩვენებს). ამ ნასატს რომ დაინსავთ, რა სმა გაგასსენდებათ?

— სმა ა.



მასწავ. ამ ნიშნებს, რომლებითაც გამოისატებიან სმები, ჰქვიათ ასო-  
ბო. ნიკო, აბა, მითხარ, რა არის ასო?

მოსწ. ასო არის ნიშანი, რომლითაც გამოისატება სმა.

— ესთქვათ ერთად ის, რაც ნაკომ სთქვას.

— ასო არის ის და სსვ... მასწავლებელი ამ ორს ასოს შეურვეს  
სსვ უნდა ასოებში და ეტყვის მოსწავლეთ, რომ ამოაჩიონ იქი-  
ლამ ნაწინობი ასოები. როდესაც მასწავლებელი დარწმუნდება, რომ  
მოსწავლეთ სრულებით შეითვისეს ეს ორი სმა და მათი გამოსახუ-  
ლებაც, მაშინ დააწყოებს ამ ასოებს კლასის ფიცარზე, ვერ ასო ი და  
მერმე—ა, ერთმანერთსე დაშორებით, და წააკითხებს; მოსწავლენი  
წაიკითხვენ: ი—ა. შემდეგ მასწავლებელი ერთად დააწყოებს ამ ასოებს  
და სელ-ასლა წააკითხებს; წაიკითხვენ: ია.

მასწავლ. — რა რისტყვას წაიკითხეთ?

მოსწ. — სიტყვას ია.

— რის სახელია ია?

— მინდვრის უვაკილისა.

შემდეგ მასწავლებელი უნდას ასოებს აღაგს და წააკითხებს  
მოსწავლეთ; წაიკითხვენ: ია.

— ზღვით: ერთი! დასხედით: ორი! ერთი! ორი! — ამოიღეთ და-  
ფები და გრიფილები მოამზადეთ! — ჩვენ ესლა ვინით ასოები ი და  
ა. ესლა ვისწავლათ ამ ასოების სიტყვას. ასო ი ისატება ამ გვარად,  
მიუერთ: \*) ერთი—ი, ერთი—ი, ერთი—ი. დასწერეთ ესლა თქვენ.  
(სწერენ. ვისაც ცუდათ აქვს დაწერილი, მასწავლებელი უსწორებს). —  
მოემზადეთ! ესლა დასწერეთ ასო ი ისე, როგორც გაჩვენეთ; დაიწ-  
ყეთ: ერთი, ერთი, ერთი...

ამ გვარადვე იწერება ასო ა.

— ახლა ერთად დასწერეთ ვერ ი და მერმე ა. (სწერს თვითონ  
მასწავლებელი) — მოემზადეთ! დაიწყეთ: ერთი, ერთი, ერთი... აბა,  
ვინ წაიკითხავს, რა სიტყვას დაწავსწერეთ?

მოსწ. — სიტყვას ია.

\*) სწერს კლასის საწერ ფიცარზე და თან ანგარიშობს.



მასწავ. ესლად დასწერეთ ვერ ასო ა და მერმე—ი! დასწერეთ ორივე ასო ერთად! ვინ წაიკითხავს, რა სიტყვა დაგსწერეთ?

მოსწ. სიტყვა აი.

- აბა, წაიკითხეთ, რატო დაგსწერეთ? ერთი კითხულობს: აი ია.
- როდის იტყვიან აი ია?
- როდესაც მოულოდნელად იზოგინან იას, მაშინ იტყვიან: აი ია!
- გაიმეორეთ, რა სმები და ასოები ვისწავლეთ დღეს?
- ჩვენ ვისწავლეთ დღეს ორი სმა ი და ა და იმათი გამოცხადება—ორი ასო: ი და ა.
- შეინახეთ დაფები და გრიფილები!...



ეს არის ნიმუში წერა-კითხვის პირველი გაკვეთილისა. ამ გაკვეთილი მხოლოდ მაშინ შეიძლება მისტეს მასწავლებელმა, როდესაც მოსწავლეთ განზობილი აქვთ ასოების ელემენტები და საზოგადო იტანს, რა არის სმა.

ხეველი.







### „ნობათი“-ს ფოსტა

თფილისი. მ. თ.—ს.—რადგან აქ ბრძანდებით, რაღა ხაჭირია მიწერ-მოწერა, სეღობს პირ-და-პირ მობრძანდეთ „ნობათი“-ს რედაქციაში და გაიგოთ თქვენი „გულის პასუხი“-ს პასუხი

ქუთაისი. ნ. ლ.—ს.—პეტრეს მოსვლამდის პავლეს ტყავი გაპერეს, მაგრამ სომ გაგიგონიათ „ძალა აღმართსა ხნავსო.“

ქუთაისი. ს.—ს.—ნუ დაგვივიწყებთ.


ქუთაისი. გ. წ.—ს.—რედაქცია თანუგრძნობს თქვენს აზრს, მაგრამ შეუძლებელად ხდის პასუხის დაბეჭდვას. „ნობათი“ შორს წავა, რომ პოლემიკურ სტატიებს მიჰყოს სელი. დეე; თვით მკითხველი იყოს მსაფეული. ცნობება ყოველთვის დროთა ვითარების კალთებს ქვეშ არის; უნდა ვემორჩილოდ ამ დროთა ვითარებას; გაიხსენიეთ ამ შემთხვევაში ქართული ანდაზა.

ყაზანა. გ. ვ.—დაპირუბისათვის მადლობელი ვართ. ამსთანავე გიგზავნი თურნალის ნომრებს.

ძოსკოვი. დ. მ.—ს.—ცოტა ვერ მიმხვდარხართ წინანდელ ჩვენ ფოსტას. „შუა ბაზრის სალიტერატუროდ“ „ნობათი“ არასოდეს არ განდის პატიოსან შრომას. ჩვენ გვინდოდა გვეცნობებინა თქვენთვის, რომ ზოგიერთ თქვენ სტატიებს წითელი მელანი გადაესხა და ველარ გავარჩიეთ რა ჩვენს სტოლზედ.



„ნობათი“-ს რედაქცია უძორჩილესად სთხოვს მშობლებს და, სასოგადოთ, აღმსრდელებს, აცნობოს სოღმე მას ყოველივე თავიანთი შენიშვნები შესასებ ამ ჟურნალში დაბეჭდილი სტატიებისა, რომელმა სტატიამ რა შთაბეჭდილება მოახდინა ბავშვზე. ეს ცნობები დიდათ საჭიროა ჟურნალის წარმატებისათვის.



რედაქტორი-გამომცემელი ა. ს. ლუღაძე.



# გ ა ნ ს ხ ა ლ მ ბ ა ნ ი

მ ი ა დ ე ბ ა ს ე ლ ის მ ო წ ე რ ა

მ ო მ ა ი ა ლ 1884 წ ლ ის ა თ ე ის ვ ა ზ ე თ ს

დ რ ო ე ბ ა ს ე დ

(წ ე ლ-წ ა ლ ო პ ე ტ რ ო პ ო ლ ი).

თბილისში, „დროების“ რედაქციის კანტორაში, სიმონსაძვის ქუჩაზედ, ნახაროვის სახლში, შირველი კლასიკური გიმნაზიის უკან. თელავში, ჩანო როსტომაშვილთან. ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბუღევართან. ბათუმში, წერეთლის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათქვასთან. გორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთავეთან. ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ დროსით უნდა დაიბარონ გაზეთი:  
*Въ Тифлисе, въ редакцію „Дროება“.*

ფ ა ს ი ს ე ლ ის-მ ო წ ე რ ის ა :

წ ლ ი თ (12 თ ვ ი თ) 9 მ ა ნ . 11 თ ვ ი თ 8 მ . დ ა 50 კ . 10 თ ვ ი თ 8 მ ა ნ . 9 თ ვ ი თ 7 მ . დ ა 50 კ . 8 თ ვ ი თ 7 მ ა ნ . 7 თ ვ ი თ 6 მ ა ნ . 6 თ ვ ი თ 5 მ ა ნ . 5 თ ვ ი თ 4 მ . დ ა 50 კ . 4 თ ვ ი თ 4 მ ა ნ . 3 თ ვ ი თ 3 მ ა ნ . 2 თ ვ ი თ 2 მ ა ნ . 1 თ ვ ი თ 1 მ ა ნ .

ს ო თ ვ ლ ი ს მ ა ს წ ა ვ ე ლ ე ბ ე ლ ა თ ე ის წ ლ ი თ — 7 მ ა ნ . , 6 თ ვ ი თ — 4 მ . 3 თ ვ ი თ — 2 მ ა ნ .

ს ე კ ე დ რ ი თ ვ უ ლ ი ს ე ლ ის-მ ო მ წ ე რ მ ა ს გ ა ზ ე თ ის დ ა ბ ა რ ე ბ ის ა თ ა ნ ა ვ ე უ ნ-დ ა გ ა მ ო გ ს ა ვ ნ ო ს რ ე დ ა ქ ც ი ა შ ი .

**Продолжается подписка  
 НА ГАЗЕТУ  
 „КАВКАЗЪ“  
 НА ТЕКУЩІЙ 1884 ГОДЪ.**

Газета будет издаваться совершенно на тѣхъ же основаніяхъ, какъ и въ 1883 году, по той-же программѣ и подъ тою же редакціею.

Условія подписки: съ доставкою въ Тифлисъ: на годъ—11 руб. 50 к., на полгода—6 р.; на три мѣсяца—3 р., 50 к., на одинъ мѣсяць—1 р., 50 коп.

Съ пересылкою иногороднимъ: на годъ—13 р.; на полгода—7 р.; на три мѣсяца—4 р.; на одинъ мѣсяць—1 р. 75 коп.

Подписка принимается въ Тифлисъ, въ конторѣ газѣты „Кавказъ“, на Дворцовой улицѣ, въ домѣ № 5, Сараджева. Иногородные подписчики адресуютъ свои требованія: въ Тифлисъ, въ редакцію газетъ „Кавказъ“.

Иногородные могутъ подписываться лишь съ 1-го числа каждаго мѣсяца.

*Редакторъ-издатель кн. Д. Г. Эристовъ.*



„ეურნალი ივერია“

(წელიწადი მერვე).

მომავალ 1884 წ. იანვრიდან ეურნალი „ივერია“ გამოვა ყოველ თვე და თვე იმავე სახით და სივრცით, როგორც აქამდე გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღებს

თბილისში: შვედრდოვის სააგენტოში და „ივერიის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება სიმონსონოვის ქუჩაზე, ნახაროვის სასტუმროში, ზირკული გლასიკურა გიმნაზიის უკან, სადაც ზედსართულში „დროების“ რედაქციაა და იქვე შუა სართულში, რედაქცია „ივერიისა“.

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბუღალართან.

ბათუმში. „წერა-კითხვის საზოგადოების“ სკოლის მასწავლებელ მ. ა. ნათაძესთან.

ფსო მთელის წლისა 7 მან., სოფლის მასწავლებელთათვის — 5 მ.

ქალაქს გარეშე მისვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ ეურნალი: Въ Тифлисъ, въ редакцію журнала „Иверія“.

ბეჭდრი ფული ხელის-მოწერამ ეურნალის დაბარებისათხავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორი და გამომცემელი ილ. ჭავჭავაძე.

სტ 1-ГО ЯНВАРЯ 1884 ГОДА

ВЪ ТИФЛИСЪ ИЗДАЕТСЯ

НОВАЯ ЕЖЕДНЕВНАЯ (350 НУМЕРОВЪ ВЪ ГОДЪ) ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКАЯ  
ГАЗЕТА

„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

подъ редакцію А. В. СТЕПАНОВА (бывш. редакторъ „Юрид. Обзор.“)

Объемъ газеты—печатный листъ средняго формата; программа—общая всѣмъ литературно-политическимъ ежедневнымъ изданіямъ.

Подписная цѣна съ пересылкою и доставкою на годъ—10 руб. на 6 мѣс.—6 р., на 3 мѣс.—3 р. 50 к., на 1 мѣс.—1 р. 50 коп.

Подписка (городская и иногородная) и объявленія (по 5 коп. за строку петита) принимаются въ Тифлисъ исключительно въ Газетномъ Агентствѣ В. Шаврдова; въ С.-Петербургѣ-же и Москвѣ—въ книжныхъ магазинахъ „Новаго Времени“.

Временное (до 15-го декабря) помѣщеніе редакціи: Давидовская ул., д. Канапова, квартира редактора.

За газетой обезпечено постоянное сотрудничество: кн. К. А. Бebutova, Вс. М. Гаршина, П. А. Измайлова, С. Н. Кривенко, Н. Я. Николадзе П. А. Олочкинина, А. Н. Плещеева, И. Ф. Тхоржевскаго, Гл. И. Успенскаго, Н. А. Шаврова.



ქ უ რ ნ ა ლ ი

„ქართული ბიბლიოთეკა“

(წელიწადი მერე)

ამ 1884 წ. იანვრიდან ურნალი „ქართული ბიბლიოთეკა“ გამოვა  
ყოველ თვე-და-თვე იმავე სასით და სივრცით, როგორც აქამოდვე  
გამოდიოდა.

სელის მოწერა მიიღება:

ქუთაისში: „ქართული ბიბლიოთეკის“ რედაქციაში, რომელიც  
იმუშავებს თფილისის ქუჩაზედ დ. ლორთქიფანიძის სასლში.

თფილისში: ბ. შაქარია ჭიჭინაძესთან, ჩარკვიანის წიგნის მა-  
ღაზიაში.

გორში:— ეკ. ფურცელაძისას.

ბათუმში:— იულის დავითის ასული ჩხეიძისას.

ფოთში:— ნატ. მაჭარავისას.

ფასი მთელის წლისა 6 მან.

ქალაქის გარეშე მცხოვრებთ ამ ადრესით უნდა დაიბარონ ურ-  
ნალი:

Въ Кутаисъ, въ редакцію журнала „ГРУЗИНСКАЯ БИБ-  
ЛОТЕКА“.

სკედრი იული სელის-მოძვერთა ურნალის დაბარებისათნავე  
უნდა გამოგზავნონ რედაქციაში.

რედაქტორი—გამომცემელი ეკ. ლორთქიფანიძისა.



მიიღება ხელის მოწერა ქართულის სასულიერო გაზეთის

„მ წ ე ე მ ს ზ ე დ“

გაზეთი გამოვა ორ ბეჭდის ქალაქის ფურცელზე.

გაზეთის ფასი ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად — ხუთი მანეთი, სასუქარის წლისა — საბი მანეთი. შეიძლება მარტო ოკტომბრის და ნოემბრის თვეების №№ დაბარება.

ხელის მოწერა გაზეთზე მიიღება ქ. ქუთაისში: ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს ესტატე ბესარიანის ძეს დამბაშიძესთან.


ქ. ტფილისში: საქართველო-იმერეთის სინოდალის განტორის წევრს არსიმანდრიტ გრაგორისთან.

გაზეთის დაბარება, წერილობით და პირის-პირ მოლაპარაკება შეუძლია ყველას რედაქტორთან რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სასლებში. გაზეთის დაბარება და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით:

ქართული გაზეთის „მწემსის“ რედაქციაში დაბა შორაპანს (ევირილაში). Въ мѣстечко Шорапанъ (Квирилы) въ редакцію газеты „МЦЕМСИ“.

რედაქტორი-გამომცემელი მდ. დ. დამბაშიძე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დასახელებით



საქართველო